პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის, საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ. ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—42

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.000.000 მან. განცხადება 10 კაპ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

დღიური

ინგლისის პრემიერ მინისტრად დაინიშნა სტენლი ბალდვინი.

დამოუკიდებელთა პარტია ტრედუნიონებთან ერთად მოუწოდებს გამოსვლებს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ რუსეთის საკითხში.

ამერიკის სოციალისტური პარტია მოითხოვს საბჭოთა რუსეთის ცნობას

დარდანელისკენ დაიძრა ინგლისის ესკადრა საბერძნეთ-ოსმალეთის დამოკიდებულების გართულების გამო.

ჰამბურგის კონგრესი შემთანხმებელ ინტერნაციონალებისა.

№ 16 ხუთშაბათი 24 მაისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000 მან. № 16

ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო ამით იუწყება, რომ შაბათს, 26 მაისს, წითელ-არმიელთა (ცენტრალურ კლუბში (ძველი ქართული კლუბი, სასახლის ქუჩაზე), **დანიშნულია**

გაერთიანებული თათბირი ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოსი

და ყველა სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენელთა (პარტიულის, პროფესიონალურის, სასპორტო, კომუნისტურ ახალგაზრდობისა და სხვათა) და აგრეთვე იმ პირთ ვისაც აინტერესებს და ვინც მცოდნეა ფიზიკური კულტურის საქმის.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. პრეზიდიუმი კი უნდა შეიკრიბოს სრულს 6 საათზე საღამოთი, დაუგვიანებლად.

ამიერ-კავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი და ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ტალიბლი.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, **პარასკევს 25 მაისს ერთიან პარტიულ დღეს** დაისვას **საკუთარი ადგილობრივი წარმოების საკითხები**

მდივნის მაგიერ: **რუბენი.**

ტყუილი იმედები

ჩვენ აღვნიშნეთ უკვე თავის დროზე ის საერთო აღშფოთება, რომელმაც შემოკრიბა კიდევ უფრო მჭიდროთ, ვინემ წარსულში, რესპუბლიკების ყველა სასიცოცხლო ძალები საბჭოთა მთავრობის ირგვლივ. დემონსტრაცია ერთსულოვნების, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულ კვირაში მთელი ფედერაციის სივრცეზე, ჭეშმარიტად მრავალის მეტყველია და პირველ ყოვლისა მოწმობს იმაზე, რომ რევოლიუციონური რეჟიმის დასაცავათ მზად არის ხალხი. ამ საერთო აღელვებისა და აღშფოთების ატმოსფერაში საერთოთ შეუმჩნეველი დარჩა ის ჩუმი სასიხარულო მოლოდინი, რომელსაც დიდის გაჭირვებით მალავდნენ ზოგი შავბნელი ელემენტები ჩვენი საზოგადოების.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ჩვენში აქა-იქ კიდევ დაღოღიალობენ ნამსხვრევები წარსულის, ყველა ისინი, რომლებიც კიდევ ვერ შერიგებიან საბჭოთა რესპუბლიკებში, და კერძოთ საქართველოში, შექმნილ მდგომარეობას და „ზღვის ნაპირზე“ ამინდს უცდიან. ეს ის ვაჟბატონებია, რომლებიც სასომიხდილნი, იმედებ გაცრუებულნი, დარწმუნებულნი თავიანთ უძლურობაში, სიხარულის მორიდებული ღიმილით იცქირებიან საბჭოთა კავშირის იმ საზღვრებისკენ, სადაც შეამჩნევენ ოდნავ ღრუბელს, წინამორბედს ქუხილისას, საბჭოთა რეჟიმის დანგრევისა და განადგურებისას. ერთი ასეთი იმედის გამღვიძებელი იყო მათთვის ინგლისის გამოსვლა ჩვენი რესპუბლიკების წინააღმდეგ. და მართლაც ის ჯგუფები, რომლებსაც წამდაუწუმ ინტერვენციაზე ოცნებობენ და საბჭოთა წინააღმდეგობა ესიზმრებათ, გულგრილათ ვერ შეხვდებოდნენ ინგლის-რუსეთის კონფლიქტს. მათ, რასაკვირველია, არ აფიქრებს ის გარემოება, რომ, ომის შემთხვევაში, კვლავ აიწეწებოდა დაწყებული აღმშენებლობითი მუშაობა, ხალხი ამოწყდებოდა, დაიღვრებოდა სისხლი, გაიჯეჯგნებოდა მთელი ტერიტორიები, მიწის პირიდან აღიგვებოდა მთელი მხარეები, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის განაპირა ქვეყნები და ათეული წლობით უკან დაიხევდა ქვეყნის აღორძინების საქმე.

მათ ხომ აინტერესებთ სულ სხვა რამ: ალიაქოთი შიგნი და გარეთ, აწეწილ დაწეწილი მდგომარეობა, როდესაც მათ გაუადვილდებოდათ ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა. ასეთია მათი ზრახვები. მაგრამ სულ სხვანაირათ ფიქრობს ხალხი.

მან დაიპყრო მიწა-წყალი და თავისუფლება, შეუდგა მშვიდობიან მუშაობას და სურს ქვეყნის აღდგენით შექმნას ნორმალური პირობები თავისი არსებობის, განამტკიცოს ახალი ეკონომიურ-პოლიტიკური რეჟიმი. ის უაღრესათ დაინტერესებულია ამიტომ მშვიდობიანობით შიგნი, ნორმალური ურთიერთობის დამყარებით გარეთ. სამშვიდობო პოლიტიკა წარმოადგენს მისთვის არა თეორეტიულ პოსტულატს, არამედ პრაქტიკულ აუცილებლობას, მაგრამ ცხადია ის ვერ იყიდის მას თავისი დამოუკიდებლობის, თავისუფლების და საზოგადოთ რევოლიუციის მონაპოვართა დაკარგვის საფასურით. ამ შემთხვევაში ის, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგება ქვეყნის დასაცავათ თავისი ხელისუფლების ხელმძღვანელობით. და ვაი მას, ვინც ამ შემთხვევის მოლოდინში მოისურვებს მის ზურგს უკან მისივე საფლავის გათხრას და რევოლიუციონური რეჟიმის დასამარებას. წინასწარი პირობა ამდგარი ხალხის გამარჯვებისა გარეთ ამ შემთხვევაში იქნება ფიზიკური გასრესა ამ შინაური მტრების და საფლავის გასწორება, რომელსაც სწორეთ მას უმზადებდნენ ეს უკანასკნელები.

ამნაირათ, ჩვენ სინამდვილეში დაპირისპირებულია: ერთი მხრით—მთელი მშრომელი ხალხი, მისი ხელისუფლებითა და მმართველი პარტიით, მთელი მათი ძლიერებით, და მეორე მხრით—ჯგუფი ავანტიურისტების, კონტრ-რევოლიუციონერების და ბანდიტების, საკმაოთ ხერხემალ მიმსხვრეული, მაგრამ რომელთა გულში ბჟუტავს იმედი უკეთესი მომავლის, იმედი უცხოეთიდან დახმარების რადგან ალარასფერი ძალა აღარ გააჩნიათ შიგნი.

ჩვენმა ხალხმა დაანახვა მათ ახლო წარსულში, ის დაუმტკიცებს მათ მომავალშიაც, რომ ფუჭეა მათი ოცნება, ტყუილია მათი იმედები.

პრაქტიკული ნაბიჯები

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განხორციელების საქმეში.

დეკრეტი მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოქვეყნებულ იქნა ამა წლის აპრილის 26-ს. ეს გადასახადი, როგორც ვიცით, აერთიანებს ყველა გადასახადს, რომელიც სასოფლო მეურნეობას უწევს და ამიტომ იგი ახალ საქმეს წარმოადგენს. გამოცდილების უქონლობა უეჭველია გავლენას იქონიებს კამპანიის შედეგებზე. ამას გარდა, დეკრეტი გამოქვეყნებული იქნა აპრილის ბოლოს, მაშინ, როდესაც ივნისის 1-სთვის აზერბეიჯანის ზოგიერთ რაიონში უკვე იწყება მოსავლის დაბინავება.

ამის მიუხედავათ არის ყველა შანსი იმისთვის, რომ გადასახადი სრულად იქნება აკრებილი.

დეკრეტის პრაქტიკულად განხორციელების საქმეში შემდეგი ნაბიჯებია გადადგმული:

ცენტრში დაარსებულია საუწყებათაშორისო კომისია, რომელშიაც შედიან სამ-სამი წარმომადგენელი სახალხო სასურსათო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

ეს კომისია ტეხნიკურად იმუშავებს ყველა საკითხს, რომელიც გადასახადს ეხება, წინასწარ იხილავს დეკრეტის განხორციელების წესებს და ინსტრუქციებს, თვალყურს ადევნებს ადგილებში მუშაობის მსვლელობას, ხელმძღვანელობას უწევს საგადასახადო კომისიებს ცალკე რესპუბლიკებში და სხვა.

თანახმად დეკრეტის მე-12 მუხლისა, თვითეულ რესპუბლიკაში დაარსებულია საგადასახადო კომისია, რომელშიაც შედიან წარმომადგენელნი სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი, ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსი; მაზრებში კი დაარსებულია სამეულები, რომელშიაც შედიან წარმომადგენელნი სამაზრო აღმასკომისა სამაზრო სასურკომისა და საფინანსო განყოფილებისა.

ცენტრალურ კომისიის მიერ შემუშავებულია გადამხდელთა სასოფლო სიების ფორმები, რომელიც ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ დამტკიცების შემდეგ თავის დროზე დაეგზავნათ ადგილებს.

ამასთან ერთად შედგენილია ვრცელი ინსტრუქცია თვითეულ მეურნეობაზე ცალკე სიის შესადგენად. შემუშავებულია დებულება დეკრეტის მთლიანად განხორციელების შესახებ. დეკრეტის მე-19 მუხლის განსახორციელებლად შემუშავებულია პროექტი დადგენილებისა იმ გადამხდელთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელნიც გადასახადს გაურბიან ეს პროექტი ამ დღეებში განსახილველად წარედგინება ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს.

დეკრეტის მე-20 მუხლის თანახმად გად. სახადის განაკვეთები ცალკე უნდა დაწესდეს. ეს საკითხი დაწვრილებით შესამუშავებლად გადაცემული აქვს საგანგებო მცირე კომისიას, განსაკუთრებით ამ მიზნისთვის გამოყოფის, რომელმაც, ადგილებიდან მიღებულ საჭირო მასალების მიხედვით, მაისის 25-სთვის უნდა დაასრულოს გადასახადის განაკვეთების დეკრეტის შედგენა ეს მუშაობა შეიძლება შეფერხებულ იქნეს მხოლოთ ცალკე რესპუბლიკანურ კომისიათა მიზეზით, რომელთაც დეპეშით განკარგულება აქვთ მიცემული იმის შესახებ, რომ საჭირო მასალები გამოგზავნონ არა უგვიანეს ივნისის 1 სა.

ამ ცნობათა დროზე მიუღებლობა განაკვეთების გამორკვევას შეაჩერებს და მაშასადამე გადასახადის აკრებასაც. ამ შემთხვევაში ცენტრის წინაშე პასუხისმგებელნი არიან ცნობების დროზე მოუწოდებლობისთვის რესპუბლიკანური კომისიები მთლიანად.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ განაკვეთების დეკრეტის შემუშავებამდე ადგილებს შესასრულებელი აქვთ მეტად დიდი სამუშაო, გადამხდელთა სასოფლო სიების შედგენისა და თვითეულ მეურნეობის დასაბეგრ ობიექტების გამორკვევის სფეროში და სხვა. სიების შედგენას ყველაზე ადრე აზერბეიჯანში შეუდგნენ, შემდეგ სომხეთში და ბოლოს მისდევს საქართველო. მუშაობა სამივე რესპუბლიკაში მოწესრიგებულია.

ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ვითომც ცენტრი აბრკოლებდეს გადასახადის განხორციელებას, ყოვლად უსაფუძვლოა. ჯერ ხომ არც ერთს რესპუბლიკას არ დაუსრულებია გადამხდელთა სიების შედგენა. ადგილებიდან ჯერ არავითარი ცნობები არა გვაქვს რაიონების მოსავლიანობის შესახებ, ვინაიდან ის არც შეიძლება გამორკვეულ იქნეს თუ გინდ დაახლოვებით—აზერბეიჯანში ივნისის 1-მდე, ხოლო სომხეთის მთაგორიან ადგილებში ივლისის 1-მდე; აღარას ვიტყვით დასავლეთ საქართველოზე, სადაც მოსავლიანობა შეიძლება გამორკვეულ იქნეს არა ადრე აგვისტოს 15-სა.

ივნისის 1-სთვის ადგილებმა უნდა წარმოადგინონ ცნობები იმ რაიონების დაყოფის შესახებ, სადაც გადასახადი ფულად, ან ნატურით უნდა იქნეს აკრებილი და ამ ცნობების მიხედვით ცენტრი თავის აპარატებს შესაფერისად მოაწესრიგებს გადასახადის ასაკრებად. მაგრამ რადგანაც რაიონების ასეთი დაყოფა მეტად სერიოზული საკითხია, რომლის სწორე გადაჭრაზე დამოკიდებულია გადასახადის შეკრებების შედეგები, ამიტომ სასურველია, რომ ამ საკითხის გადაჭრაში მონაწილეობა მიიღონ მშრომელთა ფართო წრეებმა. ამ მიზნით საჭირო გახდება თვითეულ მაზრაში ყრილობები და კრებები გაიმართოს, ამ საკითხის შესახებ გადამხდელთა აზრის გამოსარკვევად. ყველა ეს შეიძლება გაკეთდეს არა ადრე ივნისის 1 სა.

ყველა ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ ცენტრმა შეასრულა ყველა ის წინასწარი მუშაობა, რომელიც საჭირო მუშაობის დასაწყებად. მუშაობის შემდეგი მსვლელობა სავსებით დამოკიდებულია ადგილებზე, რომელთაც უნდა მიაწოდონ ცენტრს ესა თუ ის დიდად საჭირო ცნობები პროექტებისა და დადგენილებათა შესადგენად და თვით გადასახადის დეკრეტის განსახორციელებლად.

ა. ერქომაიშვილი.

ამხ. მოსე ცინცაძის წერილის გამო

გაზეთ „კომუნისტი“-ს მე-102 ნომერში მოთავსებულია ამხ. მ. ცინცაძის წერილი: „ცეკავშირის მეორე სესია და მისი მორიგი ამოცანები“. წერილში ავტორი, სხვათა შორის, ეხება საქართველოს კოოპერატიულ ბანკის მუშაობას და მის მოღვაწეობას წუნსა სდებს სხვადასხვა მხრივ.

ამხ მ. ცინცაძე სწერს: „კოოპერატივის (?) ძირითად თანხას ნოემბერში შეადგენდა ათი მილიარდი მანეთი ქართული ბონებით. ეს თანხა სპეკულიაციამ, პროცენტების აღებამ, თავისთავად ცხადია, გაზარდა, მაგრამ ვერაფერი სარგებელი ვერ მოუტანა ადგილობრივ კავშირებს“.

უნდა ავღნიშნოთ, რომ, სამწუხაროთ, კოოპერბანკს ძირითადი თანხად არასოდეს არ ჰქონებია ათი მილიარდი მანეთი და, თუ ავტორი მოისურვებდა, ალბად, საბუთებსაც ნახავდა, რომ ბანკს ათი მილიარდი მიეცა მთავრობისაგან სესხად სახალხო ბანკის საშუალებით და სარგებლით.

ამხ. ცინცაძისათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ სესხათ აღებული თანხა, ისიც პროცენტებით, ბანკს ვერ გაამდიდრებდა და მას არც შეეძლო თავისი მხრივ სესხათ გაცემულ თანხის პროცენტებით გამდიდრება, რადგანაც ეს პროცენტები მიდის ვალის სარგებელში სახალხო ბანკში და სხვა ხარჯების დასაფარავათ.

რაც შეეხება სპეკულიაციის წარმოებას, ამას თვით წერილის ავტორი უარყოფს როდესაც ამბობს, რომ ნარმას კოოპერბანკი უფრო იაფად ჰყიდდა, ვიდრე ცეკავშირი. ბანკს რომ სპეკულიაციის სურვილი ჰქონოდა, მაშინ სხვაზედ იაფად აღარ გაჰყიდდა საქონელს, ავტორს ურჩევთ, სხვაგან ეძებნოს სპეკულიაცია და არა კოოპერბანკში, რომლის მუშაობა საქართველოს კოოპერაციისათვის ცხადი და ნათელია. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ბიურომ, მიუხედავად ამხ. ცინცაძის მოთხოვნისა, სულ სხვა ნაირად შეაფასა ბანკის მუშაობა, ვიდრე ამხ. ცინცაძემ.

ცხადია, თუ კავშირებისთვის ბანკს არაფერი სარგებლობა მოუტანია, როგორც სწერს ავტორი, მაშინ კავშირების წარმომადგენლები ამას განაცხადებდნენ და შესაფერს დადგენილებასაც გამოიტანდნენ, პირიქით, ბიუროს თათბირზედ, რომელზეც ყველა კავშირების წარმომადგენლები დაესწრნენ, კოოპერბანკის გამგეობის წევრის მოხსენების შემდეგ არავის ერთი სიტყვაც არ დაუძრავს ბანკის უსარგებლო მუშაობაზე და სპეკულიაციაზე.

ჩვენ აქ ამხ. ცინცაძის და სხვების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ კოოპერბანკს არც წარსულში უწარმოებია და არც ეხლა აწარმოებს სავალიუტო ოპერაციას იმ სახით, რა სახითაც ეს ოპერაცია იგულისხმება, რადგანაც ვიცით, რომ სავალიუტო ოპერაცია ხშირად ქმნის დაწესებულებების მუშაობის ირგვლივ მძიმე ატმოსფერას და აძლევს საშუალებას ზოგიერთებს სპეკულიაციაზე სწერონ და ილაპარაკონ.

ხსენებულ ბრალდებათა აღნიშვნის შემდეგ, წერილის ავტორი ეძებს გამოსავალს და მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებათ მიაჩნია კოოპერბანკის დახურვა და უფრო მძლავრ კოოპერატიულ ბანკთან, რუსეთის „ვსეკობანკთან“, ჩვენი თანხების შეერთება.

თუ ამ გზით გავყვებით ამხ. ცინცაძის მსჯელობას, მაშინ იმ დასკვნამდის მივალთ, რომ ცეკავშირიც მეტია საქართველოსათვის, რადგანაც რუსეთის „ცენტროსოიუზს“ გაცილებით მეტი თანხა აქვს და ეკონომიურათ ბევრათ მძლავრი ორგანიზაციაა, ვინემ ცეკავშირი.

მაგრამ საკითხის ასე გადაჭრა, ერთი კალმის მოსმით გაუქმება პატარა ქვეყნისთვის პატარა შესაძლებლობისა ჩვენ მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. მართალია, საქართველოს კოოპერატიული ბანკი დღეს ვერ შეედრება რუსეთის „ვსეკობანკს“ ისე, როგორც ცეკავშირი ვერ შეედრება „ცენტროსოიუზს“, მაგრამ ეს სრულიად არ გვაძლევს უფლებას მოუსპოთ საქართველოს კოოპერაციას მისი საკუთარი ორგანიზაცია, რომლის ბედიღბალს თითონვე განაგებს.

საქართველო არც მიწა-წყალით, არც ეკონომიური სიძლიერით, არც წარმოება ტეხნიკით რუსეთს ვერ დაედარება და რისთვის იყო საჭირო ამ ორ უსწორო სახელმწიფოთა კოოპერატიულ ბანკების დაპირდაპირება ჩვენ ვერ გაგვიგია.

ყოველივე ის, რაც ამხ. ცინცაძემ კოოპერბანკს მოახვია თავზე სრულიად უმიზეზოთ, მას მხოლოდ იმისთვის დასჭირდა, რომ გაემართლებინა ერთი მეტად სუსტი მიმდინარეობა ჩვენს კოოპერაციაში—უკიდურესი ცენტრალიზმი. ამ მიზნით ავტორს სურს, სრულიად დაუსაბუთებლათ შექმნას კოოპერბანკის გარშემო მძიმე ატმოსფერა და მით გაამართლოს რუსეთის „ვსეკობანკთან“ შეერთების სურვილი.

დასასრულ უნდა მოვაგონოთ ამხ. ცინცაძეს, რომ კოოპერატიული ბანკი საქართველოს კოოპერაციის სამი წლის შრომის შედეგია და მხოლოდ მას შეუძლია ამ ბანკის ყოფნა არ ყოფნის საკითხის გადაწყვეტაც.

საქართველოს კოოპერატიული ბანკის გამგეობა.

ვინ არის მართალი?

(ამხ. რუხაძის წერილის გამო).

გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს 104 ნომერში მოთავსებულია ა. რუხაძის წერილი საქართველოს მოსახლეობის შესახებ, რომლის სტატისტიკური ცნობები ეჭვს იწვევენ ჩვენში.

საქართველოში მოსახლეობის შესახებ რუხაძე სწერს: „საერთოდ მთელ საქართველოში (თბილისით) 1917 წელში იყო: ქართველები—41,2 პროცენტი, სომხები—27,2 პროც., რუსები—19,3 პროც., სხვა ერები—12,3 პროც“.

საკვირველია თუ საიდან აილო რუხაძემ ასეთი ცნობები.

ჯერ კიდევ 1915 წლის პირველ იანვრისათვის სამხრო ადმინისტრაციის ცნობით, მთელ საქართველოში ქართველები იყვნენ—62,8 პროცენტი, სომხები—15,2 პროც., რუსები—6,5 პროც., და სხვა ერები—15,5 პროც *).

შეიძლება „კავკაზსკი კალენდარი“ ნაკლები ავტორიტეტული წყარო იყოს. მივუსმინოთ ამიტომ „პროექტს საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად“, რომლის შედგენაში მონაწილეობას ღებულობდენ ცნობილი სტატისტიკოსები. მის თანახმად 1917 წელში მთელ საქართველოში იყო 2,443,846 მცხოვრები: მათ შორის ქართველები—75,2 პრ., სომხები—10,8 პროც., რუსები—4 პროც., დანარჩენი ერები—10 პროცენტი **).

ადმინისტრატიული აღწერით კი ქართველები გაცილებით მეტი იყვნენ ***).

ა. რუხაძემ უნდა გაასწოროს თავისი შეცდომები, რომ სხვაც არ შეიყვანოს შეცდომაში ან გააბათილოს ეს ციფრები. საკითხი შეეხება ხომ იმ მოსახლეობას, რომელიც აქვე არის და რომლის შესახებ უტყუარი ცნობების მიწოდება (არსებული მასალების მიხედვით მაინც) არ უნდა გაუძნელდეს მწერალს, რომელიც იკვლევს ამ საგანს, თუმცა ა. რუხაძე ქართველებზე ლაპარაკობს ისე, როგორც სპენსერი ბუშმენებზე ან მორგანი იროკეზებზე: „Относительно грузин следует отметить, что эта нация начинает расти“ და სხვ.

დ. დანიძე.

---

*) იხ. „Кавказ. Календарь“ Статист. отдел გვ. 38, 39, 40, 41, 42, 43 და 44.

**) იხ. აღნიშნული პროექტი გვ. 92, 93. გამოც. 1920 წ.

***) ibid 102, 103.

რადიო-დეპეშები

ახალი კაბინეტი ინგლისში

ბალდვინი პრემიერი.

ლონდონი. 23 მაისი. **პრემიერად დაინიშნა ხაზინის კანცლერი ბონარ ლოუს კაბინეტში სტენლი ბალდვინი. ეს ცნობა მიღებულია გუშინ საღამოს ბუკინგემის სასახლიდან. ბალდვინმა მიიღო პრემიერ მინისტრისა და ხაზინის პირველი ლორდის თანამდებობა.**

ახალი კაბინეტი.

ლონდონი. 23 მაისი. ბალდვინის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ ბონარ ლოუს კაბინეტის ყველა მინისტრებმა დაუბრუნეს ბალდვინს პორტფელები. ფიქრობენ, რომ ახალი კაბინეტის შემადგენლობა არაფრით განსხვავდება ძველისაგან, ან მოხდება უმნიშვნელო ცვლილებები. საღამოს გაზეთების ცნობით ხაზინის კანცლერის თანამდებობა დაეკისრება რობერტ ხორნს, რომელსაც ეს ადგილი ეჭირა კოალიციონურ კაბინეტში კონსერვატორულ კაბინეტის შედგენამდი.

სტენლი ბალდვინი.

ლონდონი. 23 მაისი. ახალი პრემიერი სტენლი ბალდვინი თემთა პალატის წევრია. ის 55 წლისაა. თავისი საპარლამენტო მოღვაწეობა დაიწყო 15 წლის წინათ. სახელმწიფო მოღვაწეობა დაიწყო ხაზინის ფინანსიური დეპარტამენტის დირექტორის პოსტზე, ეს ადგილი მას ეჭირა 1917 წლიდან 1921 წლამდი. ამის შემდეგ ის დაინიშნა ვაჭრობის მინისტრად. წარსულ შემოდგომაზე კოალიციონური მთავრობის გადადგომის და მის მაგივრად კონსერვატორული კაბინეტის შედგენის შემდეგ ის დაინიშნა ხაზინის კანცლერათ. როგორც ხაზინის კანცლერი ის გაემგზავრა ამერიკაში დელეგაციის მეთაურათ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ინგლისის ვალების საკითხის მოგვარება. ეს მოლაპარაკება მან ინგლისისათვის სასურველად დაამთავრა. ამ რამდენიმე კვირის წინეთ ბალდვინმა პირველათ წარმოადგინა ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც ახასიათებენ როგორც თვალსაჩინო ფინანსიურ ნაშრომს.

ინგლისის პრესა ბალდვინის შესახებ

ლონდონი. 23 მაისი. იმ წარმატების გამო, რომელსაც მიაღწია ბალდვინის მისიამ ინგლისის ვალების მოგვარების საკითხში, ინგლისის გაზეთები ფიქრობენ, რომ ბალდვინის პრემიერათ დანიშვნას მოიწონებენ ამერიკის წრეებში. „დეილი მეილის“ პარიზელი კორესპონდენტის აზრით ამ ცნობას საფრანგეთიც თანაგრძნობით შეხვდება. კორესპონდენტი იმედს გამოსთქვამს, რომ ახალი კაბინეტის შედგენა დიდ ცვლილებებს პოლიტიკაში არ გამოიწვევს.

ბონარ-ლოუს გადადგომის გამო

ბონარ ლოუს კარიერა გათავდა.

ლონდონი. 22 მაისი. საერთო აზრი ისეთია, რომ ბონარ ლოუს კარიერა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ფიქრობენ, რომ კიდევ დიდხანს იქნება საჭირო მისი რჩევები და დარიგებები.

მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდება.

ლონდონი. 21 მაისი. ხუთშაბათს გაიმართება კონსერვატორების პარტიული მიტინგი პარტიის ახალი ლიდერის ასარჩევად. საერთო აზრით, ბონარ ლოუს გადადგომა არავითარ ცვლილებას არ მოახდენს მთავრობაში. ფიქრობენ, რომ ბონარ ლოუს კაბინეტის მინისტრები, ახალ კაბინეტში შესვლისათვის არ შეასრულებენ შემოღებულ წესს, რომლითაც ახალი მთავრობის ყველა მინისტრები ხელახლა უნდა აირჩიოს პარლამენტმა.

მწუხარების გამოთქმა.

ლონდონი. 25 მაისი. ბონარ ლოუს გადადგომის გამო ბევრი გამოსთქვამს მწუხარებას. პუანკარე დეპეშაში მადლობას უცხადებს ბონარ ლოუს იმ ენერგიისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ანტანტის ერთიანობის დასაცავად. „დეილი მეილის“ აზრით, ამერიკაშიაც მწუხარებას გამოსთქვამენ ბონარ ლოუს გადადგომის გამო, რადგანაც ის იყო ინგლის-ამერიკის დაახლოვების მომხრე.

პრესის აზრი.

ლონდონი. 21 მაისი. ინგლისის პრესა გაცხოველებით უკეთებს კომენტარიებს ბონარ ლოუს გადადგომას და იხილავს საკითხს მემკვიდრის შესახებ.

კონსერვატიული პრესას უფრო შესაძლებლად მიაჩნია კერზონის და ბალდვინის კანდიდატურები. „მორნინგ პოსტი“ მომხრეა ბალდვინის. ლიბერალური პრესიდან მხოლოდ „მანჩესტერ გარდიენი“ არის წინააღმდეგი კერზონის და მის კანდიდატურას სთვლის არა დემოკრატიულად.

წინასწარი შეხედულებანი.

ლონდონი. 21 მაისი. კომპეტენტურ ლიბერალურ წრეებში ფიქრობენ, რომ კერზონის პრემიერად დანიშვნის შემთხვევაში,—უკანასკნელი დასტოვებს თავის ძველ პოლიტიკას რუსეთის საკითხში და დაიჭერს მორიგებით პოზიციას. ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ, აღნიშნავენ რა რომ, თუმცაღა კერზონი არ არის შეურიგებელთა კანდიდატი, მაგრამ მისმა პოზიციამ რუსეთის მიმართ მას ნდობა მოუხვეჭა შეურიგებლობაში და საეჭვოა, რომ მან ეხლა იმედი გაუცრუოს მათ, გაცილებით უფრო სადავოა ის საკითხი, შეეცდებიან თუ არა კონსერვატიული პარტიის შეურიგებელი ჯგუფის წარმომადგენლები პარტიაში განხეთქილების გამოწვევას იმისათვის, რათა შეზღუდონ რუსეთთან ვაჭრობა, რომელიც უფრო და უფრო ფართოვდება.

ინგლისი და საბჭოთა რესპუბლიკები

თათბირი ამხ. კრასინსა და კერზონს შორის.

მოსკოვი. 21 მაისი. მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში მიღებულ ცნობების მიხედვით კერზონმა მიიღო ამხ. კრასინი 17 მაისს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის გრეგორის, საგარეო საქმეთა მინისტრის საპარლამენტო მდივანის სერ ეიერ კრაუს და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის მაკ-ნეილის თანდასწრებით. საუბარის დროს კერზონმა ვრცლად გაიმეორა ყველაფერი ის, რაც ეწერა ინგლისის მთავრობის მემორანდუმში. კერძოდ კერზონმა შესჩივლა ამხ. კრასინს აღმოსავლეთში პროპაგანდის, აღმოსავლეთის ერებში ინგლისისადმი სიძულვილის გაძლიერების და აღმოსავლეთში ემისარების გაგზავნის შესახებ. კერზონმა გაიმეორა მოთხოვნილება ამ პროპაგანდის შეწყვეტის და ამხ. რასკოლნიკოვის და შუმიაცკის უკან გამოწვევის შესახებ.

სხვა მუხლების შესახებ კერზონმა კვლავ გაიმეორა მემორანდუმის მოთხოვნილება და განაცხადა, რომ ტრალერების საკითხში ის ვერ დასთანხმდება ტერიტორიალური წყლების ცალმხრივათ გაფართოვებაზე. კერზონმა მოითხოვა აგრეთვე, რომ საბჭოთა მთავრობამ უკან წაიღოს ვაინშტეინის ნოტები.

ჩვენ კონტრ-პრეტენზიებზე კოლომეიცევის და ბაბუშკინის საქმის და ბაქოს 26 კომისარის მოკვლის გამო ანაზღაურების შესახებ, კერზონმა უარყო.

ახალი ვადა.

მოსკოვი. 21 მაისი. იუწყებიან, რომ სამებობის განმავლობაში კერზონი ქალაქს გარედ გაემგზავრა და მიიღებს ამხ. კრასინს 23 მაისს დღის 12 საათზე მთავრობის პასუხის მოსასმენათ. ამ რიგად ულტიმატუმის ახალი ვადა 23 მაისს თავდება.

ინგლისელი რკინის-გზელები მზად არიან დაიცვან საბჭოთა რუსეთი.

ლონდონი. 21 მაისი. „დეილი ჰერალდის“ ცნობით ინგლისელ რკინის-გზელების ტრედ-უნიონების თავმჯდომარემ განაცხადა: **„თუ მუშათა პარტიის პოლიტიკური ძლიერება არ იქნება საკმაო, რომ აცილებული იქნეს რუსეთთან ომის საფრთხე, ჩვენ გამოვიყენებთ სამრეწველო ძალას, რომ ვაიძულოთ მთავრობა უკან წაიღოს თავისი ულტიმატუმი რუსეთისადმი“.**

დამოუკიდებელი მუშათა პარტია იცავს საბჭოთა რუსეთს.

ლონდონი. 21 მაისი. **დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ ცირკულიარულად მისწერა ყველა თავის სექციებს მოაწყონ საპროტესტო მიტინგები მთავრობის გადაწყვეტილების გამო პარლამენტის სესიის განახლებამდი რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. სექციებს წინადადება ეძლევა კავშირი დაიჭირონ ტრედ-უნიონებთან მთავრობის პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.**

პრესის აზრი რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის შესახებ

კერზონის ცუდი ჩვეულება

ლონდონი 21 მაისი. ინგლისის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს რუსეთის საკითხს. გაზეთი „ობსერვერ“-ი სწერს: „ინგლისის მინისტრებმა პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ მათ ბრალად დასდეს ომის გამოწვევის განზრახვა. ჩვენ სიამოვნებით მათ ვეთანხმებით, ვინაიდან ომის გამოწვევისათვის განზრახ ხელის შეწყობა უსაშინლესი დანაშაულია თვითეულ მთავრობისათვის. დიპლომატიის ამოცანაა ის, რომ მან ყოველივე ძალ-ღონე უნდა მოიხმაროს მშვიდობიანობის დაცვის. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს ულოღიკობას ბრიტანეთის მთავრობის, რომელიც ჰკიცხავს ულტიმატუმებს, როდესაც მათ გზავნიან ფრანგები, ბერძნები და ოსმალოები, ხოლო კერზონი თვითონვე მიჰართავს ამ გზას. ულტიმატუმების გზავნის ჩვეულება, ამბობს გაზეთი, უნდა უკუვაგდოთ სამუდამოდ. რუსეთთან ზავის უქონლობა ნიშნავს ლოზანას კონფერენციის მარცხს. თავისი მოქმედებით კერზონმა შეიძლება ახალ მღელვარებაში გახვიოს მთელი აღმოსავლეთი. დასასრულ გაზეთი აფრთხილებს მთავრობას, რომ თუ ის უარს იტყვის კონფლიქტების კონფერენციის გზით მოგვარებაზე, მას ოპოზიციაში ეყოლება მთელი სახელმწიფო.

მაკ-ნეილმა მოატყუილა პალატა.

ლონდონი. 21 მაისი. „მანჩესტერ გარდიენ“-ი სწერს: „თუ კერზონმა მხოლოდ განუმეორა კრასინს აღნიშნული ფორმით ტექსტი პირველი ნოტის, რომელიც მოითხოვდა ინგლისის მოთხოვნილებათა მიღების აუცილებლობას, მაშინ მან, არა თუ შეგნებულად მოინდომა განხეთქილება, არამედ აგრეთვე დიდი მღელვარება შეიტანა თემთა პალატაში. მაკნეილს სამშაბათს გარკვეულად რომ განეცხადებია, რომ ნოტის ულტიმატიური ხასიათი არ შეიძლება შეცვლილი იქნესო, მაშინ კამათი პარლამენტში მიიღებდა სულ სხვა ხასიათს.

საპროტესტო დემონსტ. იმპერ. თავდასხმის წინააღმდეგ

საპროტესტო მიტინგი ბუხარაში

ტაშკენტი. 22 მაისი. ბუხარაში კერზონის ულტიმატუმის და ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო გაიმართა გრანდიოზული საპროტესტო მიტინგი აბდულ ხოჯაევის თავმჯდომარეობით.

მოხსენებებით მომხდარი ამბების გამო შექმნილ მდგომარეობის შესახებ გამოვიდნენ ამხ. ამხ. ხოჯაევი, იუსუფ-ზადე, მანსუროვი და მუხედინი. მოისმინა რა მოხსენებები მრავალრიცხოვანმა კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ, ბუხარის მშრომელები, რომლებმაც მივიღეთ ცნობა ინგლისის ულტიმატუმის შესახებ, გამოვსთქვამთ უაღრეს აღშფოთებას საერთაშორისო იმპერიალიზმის საბჭოთა რესპუბლიკებზე მუხანათური თავდასხმის ცდის გამო. ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთავრობისაგან, რათა მან გადაჭრით უარყოს გათავხედებული ინგლისის მთავრობის მოთხოვნილებანი. დეე, იცოდენ ინდოეთის მრავალრიცხოვანი მასების სულთამხუთავებმა, ჯალათებმა და ჩაგრულ ერების მკვლელებმა, რომ გამოღვიძებული აღმოსავლეთის მშრომელი მოსახლეობა მზად არის დაიცვას თავისი მკერდით საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და ღირსება და თავისი რევოლიუციონური მონაპოვარი.

ჩვენ ნებას არ მივსცემთ კონსერვატორების ხროვას, რათა მან თავისი მოთხოვნილებანი თავზე მოახვიოს თავისუფალ სახელმწიფოს—მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების სიმაყეს. ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი, ჩვენი ბელადების მოწოდებისთანავე გამოვალთ ჩვენი უფლებების დასაცავად.

ბუხარის მშრომელი მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა მთავრობა ღირსეულ პასუხს გასცემს დაჩაგრული აღმოსავლეთის მშრომელი მასების სულთამხუთავებს და აგრეთვე მტკიცედ განაგრძობს მშვიდობიანობის პოლიტიკას, ისე, როგორც დღემდე და გამოააშკარავებს კაპიტალისტების ჭეშმარიტ ზრახვებს მთელი ქვეყნის მშრომელების წინაშე.

ჩვენ აგრეთვე დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ინგლისის მუშათა კლასი ნებას არ მისცემს თავის ქვეყნის კაპიტალისტებს ახალი ომის ცეცხლში გახვიონ მსოფლიო.

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, გაუმარჯოს კომინტერნს, გაუმარჯოს მშრომელთა ერთიან ფრონტს იმპერიალიზმთან ბრძოლაში, გაუმარჯოს აღმოსავლეთის აჯანყებულ მონებს. ჩვენ ვსთხოვთ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომს და ბუხარის სრულ უფლებიან წარმომადგენელს გადასცენ რეზოლიუციასთან ერთად ჩვენი მხურვალე სალამი რუსეთის მუშებს და გლეხებს და აგრეთვე მსოფლიო რევოლიუციის ბელადს ამხ. **ლენინს**“.

მშრომელები საბჭოთა რესპუბლიკის სადარაჯოზე

შორს ხელები საბჭოთა რუსეთისაგან.

მოსკოვი. 22 მაისი. „როტე ფანე“-ში გამოქვეყნებულია საბჭოთა რუსეთის დამხმარე საერთაშორისო მუშათა კომიტეტის მოწოდება, რომელზედაც ხელს აწერენ: კლარა ცეტკინი, ბარბიუსი, მაქსიმ გორკი, ს. ნ. კლერი და სხვები.

მოწოდება გამოშვებულია შემდეგი სათაურით: „შორს ხელები საბჭოთა რუსეთიდან“. მოწოდებაში ნათქვამია, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ერთი მეორეს სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ, ერთდებიან ერთში, საბჭოთა რუსეთის სიძულვილში. იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთი უფრო და უფრო ძლიერდება; საერთაშორისო კაპიტალი, მიუხედავად ყველა იმ დამარცხებებისა, რომლებიც მან იგემა რუსეთში, ცდილობს ახალი თავდასხმით გაამარტოვოს რუსეთი, დაასუსტოს და ჩაახშოს ის. ლოზანაში გასროლილი ტყვია ეს არის სიგნალი იმის, რომ საერთაშორისო კაპიტალიზმის თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე განახლდა, კომიტეტი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს, რათა ინტენსიურად შეუდგენ თავიანთ ძალების დარაზმვას და მხარი დაუჭირონ იმ მოქმედებას, რომელსაც მიზნად ისახავენ მუშათა პარტიები და პროფკავშირები.

მოწოდებაში ამავე დროს ნათქვამია, რომ საჭირო პროპაგანდის გაფართოება საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ საერთაშორისო მუშათა სესხის შესახებ.

ამერიკის სოციალისტური კონფერენცია

ნიუ-იორკი 21 მაისი. ამერიკის სოციალისტური პარტიის კონფერენციამ უარყო „ვორკერ პარტი“-ს წინადადება ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ, რადგან ამ ტაქტიკას ვითომდა ხელს უწყობს განხეთქილება მუშათა რიგებში. სოციალისტებმა უარი განაცხადეს აგრეთვე ფერმერების მუშათა პარტიის წინადადებაზე ივლისში ამ პარტიის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების შესახებ. ეს უარი სოციალისტებმა განმარტეს იმით, რომ ფერმერების პარტიის კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს „ვორკერს პარტი“. სოციალისტებმა დაადგინეს აგრეთვე ითანამშრომლონ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ პარტიებთან. ყველა ეს რეზოლიუციები ამტკიცებენ, რომ სოციალისტური პარტია უარყოფითად უცქერის „ვორკერს პარტი“-ს კამპანიას მთლიანი ფრონტის სასარგებლოდ.

მიუხედავათ ამისა კონფერენცია მოითხოვს საბჭოთა რუსეთის ცნობას. ამის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციაში ნათქვამია: **„მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ არ ვეთანხმებით კომინტერნს, ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა მთავრობის ცნობას. საბჭოთა რუსეთის მტრები ვერ იქნებიან ჩვენი მეგობრები. უთანხმოება მუშათა კლასის სხვადასხვა ჯგუფებს შორის არ ამართლებს საერთო მტრისათვის დახმარების გაწევას“.**

შემთანხმებელ ინტერნაციონალების კონგრესი

მენშევიკები და ესერებიც ესწრებიან.

ჰამბურგი. 21 მაისი. კვირას ჰამბურგში გაიხსნა 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალების კონგრესი, რომელიც მოწვეულია ამ ინტერნაციონალების არსებობის საკითხის გადასაჭრელად. დღის წესრიგში დგას საკითხი 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალების გაერთიანების შესახებ. დელეგატებს შორის სხედან რუსი მენშევიკები და ესერები. პრეზიდიუმში არჩეული არიან გრიმი, ლონგე და ხილკვიცი.

ადლერის გამოსვლა.

პირველ მომხსენებლათ გამოვიდა ფრიდრიხ ადლერი, რომელმაც განაცხადა, რომ ვენის ინტერნაციონალი შექმნა უფრო ფართო ინტერნაციონალის მოწყობის მიზნით. ამ ჟამად ორივე ინტერნაციონალის გაერთიანება იქნებოდა დიდი ნაბიჯი წინ. კომუნისტების მიღება ახალ ინტერნაციონალში შეიძლება, თუ ისინი აღიარებენ დემოკრატიულ პრინციპებს. ადლერს შემოაქვს წინადადება 2 ნახევარი ინტერნაციონალის დაშლის და მეორე ინტერნაციონალის აღდგენის შესახებ.

ლედებურის სიტყვა.

ლედებური გამოვიდა გაერთიანების წინააღმდეგ, რადგან ეს გაერთიანება არ მოაახლოვებს მუშათა კლასს საბოლოო მიზანს—მსოფლიო რევოლიუციას. მეორე ინტერნაციონალის პარტიებმა, სთქვა ლედებურმა, ხელი შეუშალეს რევოლიუციის განვითარებას და ბურჟუაზიასთან კოალიციის მომხრე იყვნენ. ამას გარდა ეს პარტიები ხელს უშლიდნენ გერმანიაში საოლქო სოციალისტური პარტიების შექმნას. **ერთიანი ინტერნაციონალის შექმნა კომუნისტების მონაწილეობის გარეშე შეუძლებე-**

ლია. რადგან მხოლოდ მათ შეძლეს პროლეტარული ხელისუფლების დამყარება. ლედებურის წინააღმდეგ გამოვიდა აბრამოვიჩი, რომელმაც გაილაშქრა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

2 ნახევარი ინტერნაციონალი დაშლილია.

კამათის შემდეგ 99 ხმის უმრავლესობით 6 წინააღმდეგ, კონგრესმა დაადგინა დაშლილათ გამოაცხადოს 2 ნახევარი ინტერნაციონალი და აღადგინოს მეორე ინტერნაციონალი. რეზოლიუციის წინააღმდეგი იყვნენ: ლედებური, ლიბკნეხტი, შტეინბერგი, შრეიდერი, ერთი პოლონელი და 1 ლიტველი დელეგატი.

ფარისევლები.

ბერლინი. 21 მაისი. კონგრესის პრეზიდიუმში არჩეულმა ვეისმა (გერმანია) და გრაკემ (საფრანგეთი) ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

ნაციონალისტები და არა სოციალისტები.

ბერლინი. 21 მაისი. ზალა, სადაც ხდება კონგრესი, მორთულია სხვადასხვა ქვეყნის დროშებით, მათ შორის არის თვითმპყრობელობის დროის რუსეთის სამფეროვანი დროშა. სოციალ-დემოკრატების გამბურგის ორგანიზაციის წარმომადგენელი ნაციონალისტური ფრაზეოლოგიით სავსე სიტყვით მიესალმა კონგრესს და განაცხადა, რომ კონგრესს შეუძლია დამშვიდებით იმუშაოს, რადგან მიღებულია ყოველგვარი ზომები კონგრესის დასაცავად უპასუხისმგებლო ელემენტებისაგან, რომელთაც შეუძლიათ შეეცადონ ხელი შეუშალონ კონგრესის მუშაობას.

გამბურგის ბურგომისტრი მიესალმა კონგრესს ამსტერდამის ინტერნაციონალის სახელით.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ვეისმა, რომელმაც გაილაშქრა კომუნისტების წინააღმდეგ და მოუწოდა კონგრესს ებრძოლონ მათ არა ნაკლებ, ვიდრე რეაქციონერებს.

კონგრესის საქმიანი მუშაობა დაიწყება ხვალ ოტტო ბაუერის მოხსენებით საერთაშორისო რეაქციასთან ბრძოლის შესახებ.

კომუნისტების დემონსტრაცია.

ბერლინი. 21 მაისი. კვირა დილით გაიმართა დიდი კომუნისტური დემონსტრაციები, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღო 30.000 კაცზე მეტმა. დემონსტრაციები ჩატარდა ლოზუნგის ქვეშ: „საყოველთაო გაფიცვა ერთი დღით ომის საშიშროების და ფაშიზმის წინააღმდეგ და საბჭოთა რუსეთის ცნობა". დემონსტრაციები საუცხოვოდ ჩატარდა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამის შემდეგ მოხდა სოციალ-დემოკრატების დემონსტრაცია, რომელიც მკრთალად ჩატარდა.

მოწოდება ერთიანი ფრონტისაკენ.

ბერლინი. 20 მაისი. გაზეთმა „როტე ფონე"-მ გამოაქვეყნა მოწოდება ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოქმედების კომიტეტისა, რომელიც მიმართულია ეხლახან შეკრებილ სოციალ დემოკრატიულ პარტიათა კონგრესისადმი.

ეს მოქმედების კომიტეტი ამორჩეული იყო ფრანკფურტის კონფერენციაზე რევოლიუციონურ მუშათა ორგანიზაციების მიერ. კომიტეტის მოწოდება აღნიშნავს უაზრობას ორივე ინტერნაციონალის გასაერთიანებლად წარმოებულ საკითხის განხილვისას და ჰამბურგის კონგრესს რჩევას აძლევს განიხილონ მხოლოდ საკითხი საერთო ძალით გამოსვლისა იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება მუშათა კლასს.

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ გერმანია სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე სდგას, საბჭოთა რუსეთს კი ახალი ინტერვენცია მოელის ინგლისის მხრივ. ასეთი მდგომარეობა აუცილებლად გამოიწვევს საერთაშორისო გამწვავებას და ომს, „რაც უკვე ჰააგაში იწინასწარმეტყველეს რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა დელეგატებმა.

კომიტეტის მოწოდებაში ნათქვამია: „ჩვენ არ გვინდა ვიშალოთ ძველი იარები და გაგახსენოთ მე-2 ინტერნაციონალის უძლურება 1914 წ., მაგრამ ჩვენ გეკითხებით თქვენ: გსურთ თუ არა იკისროთ პასუხისმგებლობა ახალი ომიანობისა, რომელიც შეიძლება მოხდეს თქვენი უმოქმედობის გამო? ამ კითხვაზე პასუხი უნდა გასცეს არა ქაღალდზე დაწერილ რეზოლიუციებით, არამედ მოქმედებით".

მოწოდება შემდეგ წინადადებას აძლევს ჰამბურგის კონგრესს მიჰმართოს საერთაშორისო პროლეტარიატს მოწოდებით, რათა ერთ დღიური საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდეს საპროტესტოთ და წინადადებას აძლევს ინგლისის მუშათა პარტიას დემონსტრაცია მოახდინოს რუსეთთან კავშირის გაწყვეტის გამო.

მოწოდება მიმართავს ანტანტის სახელმწიფოთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს და აღნიშნავს, რომ მათი მოვალეობაა მოაწყონ დემონსტრაცია გერმანიის ხალხის დაჩაგვრის გამო რურში და რეინის ოლქში.

მოწოდება ბოლოს მიჰმართავს კონგრესს დაუყოვნებლივ დანიშნოს წარმომადგენელნი მოქმედების კომიტეტთან მოსალაპარაკებლად და შეჰქნას მჭიდროთ გაერთიანებული პროლეტარული ფრონტი.

,,ფორვერტსი'' პოგრომს ამზადებს.

ბერლინი. 20 მაისი. „ფორვერტსი" გადმოგვცემს, ვითომც ჰამბურგში კომუნისტები გამოსვლას აპირებდნენ, და სცდილობს პოგრომის გუნებაზე დააყენოს ხალხი კომუნისტების წინააღმდეგ. გაზეთი იმუქრება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მიერ შექმნილი ორგანიზაციით, რომელსაც „რესპუბლიკა" ეწოდება და რომელიც საგანგებო მიზნად ისახავს კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლას. ამგვარად „ფორვერტსი" გამოტყდა, რომ კომუნისტების შესამუსრად არსებობს სოციალ-დემოკრატიის საგანგებო ჯგუფი მაშინ, როდესაც თვითონ სოციალ-დემოკრატები გულის წყრომით უარს ჰყოფდენ ხოლმე ასეთს ცნობას, როდესაც მათ უსაყვედურებდენ ასეთი ჯგუფების შექმნის გამო.

შემთანხმებლების ბანაკში

ნერვიულობენ.

ბერლინი, 19 მაისი. შემთანხმებელ ინტერნაციონალების გამბურგის კონგრესის მოსამზადებლად ბერლინში შესდგა ჩეხის, პოლონეთის, ესტონეთის, ლატვიის და ლიტვის სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლების კონფერენცია საშუალო ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საერთო გამოსვლების გეგმაზე მოსალაპარაკებლად. „ფორვერტს"-ი ნერვიულობას იჩენს კომუნისტების იმ განზრახვის გამო, რომლითაც მათ გამბურგის კონგრესის ჩაშლა სურთ. გაზეთი აღნიშნავს საერთაშორისო კომუნისტურ კომისიის მოსალოდნელ ჩამოსვლას, რომელიც გამბურგის კონგრესს მთელ რიგ საკითხებს წაუყენებს.

ვერ თანხმდებიან.

ვენა. 18 მაისი. მეორე და ორ ნახევარ ინტერნაციონალების შემაერთებელ კონგრესთან დაკავშირებით **ჩეხო-სლოვაკიის და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა ბერლინის წინასწარ კონფერენციაზე მოიწვიეს მცირე ანტანტის ყველა სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები;** რუმინიის და სამხრეთ-სლავიის სოციალ-დემოკრატებმა ეს მიწვევა არ მიიღეს.

რურის გარშემო

სისხლის მღვრელი შეტაკებანი

ბერლინი. 20 მაისი. ბოხუმში გაიმართა მუშების დემონსტრაცია. მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება პოლიციასთან. დაჭრილია რამოდენიმე პოლიციელი, ერთი კომუნისტი მოკლულია, სამი მძიმედ არის დაჭრილი და 8 მსუბუქად.

ფრანგების ძალადობა

ბერლინი. 20 მაისი. მანგეიმში საფრანგეთის ჯარის კაცებმა უმიზეზოდ სროლა აუტეხეს გამვლელებს. დაჭრილია ორი. კობლენცში ფრანგებმა მიითვისეს ბანკიდან ექვსი მილიარდი მარკა.

რკინის გზის მოშლა

ბერლინი. 20 მაისი. ფრანგებმა დაიკავეს კვლავ რკინის გზის სადგურების მთელი რიგი ზიგბურში, გენეში, კარნაკეში და სხვა ქალაქებში. მიმოსვლა რკინის გზებზე რეინის და რურის ოლქებში აღწევს დეზორგანიზაციის უმაღლეს საზღვარს.

მღელვარება უმუშევრებს შორის

ბერლინი. 20 მაისი. ესენის ოლქში უმუშევრებმა მოაწყვეს დემონ ტრაცია სიძვირის წინააღმდეგ დემონსტრაცია გარეკილი იქნა პოლიციის და ბურჟუაზიული თავდაცვის ორგანიზაციის მიერ. ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა ცდილობს ახსნას მღელვარება უმუშევრებს შორის კომუნისტების აგიტაციით.

გერმანია და ანტანტა

ბელგიის განზრახვები.

პარიზი. 21 მაისი. ბელგიის მთავრობამ აცნობა პუანკარეს, რომ ახლო ხანში ის აცნობებს მას სარეპარაციო საკითხის გადაჭრის ახალ გეგმას. ეს არის პირველი ნაბიჯი ბელგიის დამოუკიდებელი პოლიტიკის გზაზე.

ამერიკას არ სურს ჩამორჩეს.

ნიუ-იორკი. 21 მაისი. შეერთებული შტატები მოითხოვენ გერმანიისაგან სამხედრო ზარალის ანაზღაურებას ეს ზარალი უდრის 1.479.000.000 დოლარს.

გერმანიის ახალი წინადადება

ლონდონი. 19 მაისი. „დეილი ტელეგრაფი" კატეგორიულად უარჰყოფს იმ ხმებს, თითქოს გერმანიის მთავრობამ რჩევისთვის მიმართა ინგლისს სარეპარაციო საკითხზე ახალი წინადადების შესახებ „დეილი ნიუზ"-ის ცნობით, გერმანიის ახალი წინადადებანი მზათ იქნება ორი კვირის განმავლობაში.

ახალი ლოზანა

პოლონეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება.

ბერლინი. 22 მაისი, ლოზანაში დაიწყო უშუალო მოლაპარაკება ოსმალეთისა და პოლონეთის შორის.

მოკავშირეები მფარველობენ ბერძნებს.

ლონდონი. 28 მაისი. „დეილი მეილ"-ის ლოზანას კორესპონდენტის ცნობით, ინგლისის მთავრობის ბრძანებამ ინგლისის ფლოტის სტამბოლთან თავის მოყრის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ლოზანას კონფერენციის წრეებში. ოსმალეთის დელეგაცია ამ ბრძანებას უწოდებს ბერძნების საომარ მოქმედების დადასტურებას.

მდგომარეობა სერიოზულია.

პარიზი. 23 მაისი. ლოზანას კონფერენციის წრეებში მდგომარეობას სერიოზულად სთვლიან. საბერძნეთის დელეგაცია იმუქრება კონფერენციის მიტოვებით, თუ ოსმალოები მოითხოვენ დაჟინებით თავიანთ მოთხოვნილებების შესრულებას.

სხვადასხვა ამბები

იტალია.

შემთანხმებლები თავს არ ჰღალატობენ.

რომი. 19 მაისი. იტალიის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა, რათა საერთო მოქმედებისათვის სოციალისტურსა და კომუნისტურ პარტიას ბლოკი შეექმნათ, რაზედაც სოციალისტური პარტიის გამგეობამ უარი შეუთვალა იმ საბაბით, რომ კომუნისტური პარტია სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ ილაშქრებს ხოლმეო. სოციალისტური პარტიის გამგეობამ აგრეთვე დაადგინა, რომ პროფესიონალური კავშირები კვლავ დარჩნენ ამსტერდამის ინტერნაციონალის დროშის ქვეშ რევოლიუციონურ აგიტაციის გასაფართოვებლად, რომელიც, მათის აზრით შეიქმნება მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდ.

ოსმალეთი

შეტაკებები სტამბოლში.

პარიზი. 21 მაისი. სტამბოლიდან მიღებული ცნობებით იქ მოხდა შეტაკება იტალიის ჯარებსა და ოსმალეთის სამხედრო სასწავლებლების მოწაფეებს შორის. შეტაკების დროს სასიკვდილოთ დაიჭრა ოსმალეთის საზოგადოებრივი მუშაობის ყოფილი მინისტრი ალი-რიზა-ფაშა.

ინდოეთი

განხეთქილება ნაციონალურ კონგრესზე.

თეირანი. 21 მაისი. ინდოეთის ნაციონალური კონგრესი ორ ნაწილათ გაიყო, უმრავლესობამ მიიღო განდის ტაქტიკა და უარს ამბობს კონგრესში მონაწილეობაზე. უმცირესობა უარყოფს წინააღმდეგობის ტაქტიკას და მოითხოვს საკანონმდებლო კრებაში შესვლას იქ აქტიური ბრძოლის მიზნით.

ნაციონალისტების დემონსტრაცია.

თეირანი 21 მაისი. გაზ. „ბომბეის ქრონიკის" ცნობით ინგლისელების რეპრესიები ინდოეთში გრძელდება. ინდოეთის ცენტრალურ პროვინციებში ხდება ნაციონალისტების გრანდიოზული დემონსტრაციები.

რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის გარშემო

ტოკიო. 21 მაისი. სეიუკაუ ტაკახასის პარტიის ლიდერმა ინტერვიუში განაცხადა: „როგორც სჩანს მოლაპარაკება იოფფეს და გოტოს შორის საკმაო წარმატებით მიმდინარეობს. რუსეთ-იაპონიის სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა სასურველია".

კენესაკაის პარტიის წარმომადგენელი ბრალს სდებს სეიუკაის პარტიას იმაში, რომ, წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრისა, მას სურს საბჭოთა რუსეთის ცნობა, რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის ძველ მდგომარეობაში [illegible] და ილაშქრებს მთავრობის [illegible] წინააღმდეგ, რათა საბჭოთა მთავრობის ცნობაზე უარის თქმის მიზნით გამოყენებული იქნეს ინგლის-რუსეთის კონფლიქტი.

საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის.

ტოკიო. 20 მაისი. იაპონიის ქალაქ ცურუგაში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც მოსახლეობის ყველა წრეების წარმომადგენლები დაესწრენ. მიტინგმა მოითხოვა მთავრობისაგან საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების დაუყოვნებლივი აღდგენა

ანალოგიური რეზოლიუცია მიიღო აგრეთვე იაპონიის ჟურნალისტთა ყრილობამ დაირანეში.

წითელი მასწავლებლები

რუსეთში.

ამხ. ლუნაჩარსკი ციმბირში.

ნოვო-ნიკოლაევსკი. 20 მაისი. ნოვო ნიკოლაევსკში ჩავიდა ციმბირის სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა თათბირზე დასასწრებლად ამხ. ლუნაჩარსკი, რომელმაც გააკეთა მოხსენება საბჭოთა ხელისუფლების განათლების პოლიტიკის შესახებ. ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენებამ მიიზიდა განათლების მუშაკთა დიდი რაოდენობა.

ესერების გახრწნა,

ნოვო-ნიკოლაევსკი. 20 მაისი. გაზეთი „საბჭოთა ციმბირი" ათავსებს 15 ძველი ესერის წერილს, რომელშიაც ისინი მოუწოდებენ ესერების პარტიის ყველა ყოფილ ესერებს, რათა შეუერთდენ ესერების პარტიის უბრალო წევრთა სრულიად-რუსეთის ყრილობის დადგენილებას.

განათლების ფრონტზე.

როსტოვი. 20 მაისი. როსტოვში შესდგა სოფლის მასწავლებლების და საოლქო პრესის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კალინინმა საერთაშორისო მდგომარეობის და რევოლიუციაში მასწავლებლის როლის შესახებ. მოხსენებაში კალინინმა მიუთითა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის ზრდაზე, რომელსაც ადგილი აქვს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ყველა ერებში. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მასწავლებლობა კისრულობს თავის თავზე გლეხობის პოლიტიკური შეგნების დონის ამაღლებას.

ამხ. არალოვი რ. ს. ფ. ს. რ,-ს სრულ-უფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში.

მოსკოვი. 21 მაისი. საბჭოთა რუსეთის ყოფილი სრულ-უფლებიანი წარმომადგენელი ოსმალეთში ამხ. არალოვი დაინიშნა სრულ-უფლებიან წარმომადგენლად ლატვიაში და მიემგზავრება რიგაში.

გამოცემათა ტირაჟი

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სასტატისტიკო ქვეგანყოფილების ცნობებით, მიმდინარე წლის 15 აპრილამდი გამოცემათა რაოდენობა შემდეგს ციფრებში გამოიხატება:

გაზეთები 1.881.560 ცალი.
ჟურნალები 2 016 400 ცალი.
სულ 3.897.960 ცალი.

ამ რიცხვიდან ცენტრის გუბერნიებზე მოდის:

	გაზეთი	ჟურნალი
მოსკოვი— —	722 330	1,528,600
პეტროგრადი—	182,930	162,900
ევროპის რუსეთი	296,690	125,600
ციმბირი — —	73,930	37 800
უკრაინა — —	234,940	48,550
ავტონ. ოლქები	170,750	107,450
სულ — —	1.581.570	2.010 900

სულ გაზეთები და ჟურნალები 205,470.

ამგვარათ ცენტრის გუბერნიებზე გაზეთის ტირაჟისა მოდის 48 პროც. ჟურნალისა—99,7 პროც. გამოცემათა საერთო ტირაჟი სამაზრო ცენტრებში—16 პროც., გაზეთის ტარიფასა—0,3 პროც., ჟურნალისა—8 პროც.

უცხოეთის ცხოვრება

ერთიანი ფრონტი ბულგარეთში.

ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას ერთიანი ფრონტის და მუშური (და გლეხური) მთავრობის ტაქტიკის გატარება უხდება სულ სხვა პირობებში, ვიდრე დასავლეთის და ცენტრალურ ევროპის სხვა სახელმწიფოებში არის.

კომუნისტური პარტია ბოლგარიაში წარმოადგენს ნამდვილ მუშურ და წვრილი გლეხობის მასების პარტიას. ის ყველაზე უძლიერესი პარტია არის ქალაქში და მეორე ადგილი უჭირავს სოფლად სასოფლო მეურნეობის მუშების („ბატრაკების") კავშირის შემდეგ, რომელიც უკვე სამი წელია მთავრობას უდგას სათავეში. „სოციალ-პატრიოტულმა პარტიამ". ე. წ. „ფართე სოციალისტებმა" რომელთა წრიდან ომის შემდეგ კოალიციონურ მთავრობაში არჩეული იქმნა 3 მინისტრი, დაჰკარგა თავისი მომხრე მუშები. 1920 წელს მან კიდევ შეჰკრიბა 80.000 ხმა, უკანასკნელი არჩევნების დროს კი (1923 წ. 14 იანვარს) ძლივს შეაგროვა 40.000-დი ხმა. კომუნისტური პარტია კი, რომელსაც ყავს 40 000 წევრი, არჩევნებში გამოვიდა თავისი პროგრამა მაქსიმუმით; 1920 წელს მან მიიღო 184.000 ხმა, 1923 წლის 14 იანვარის არჩევნებში კი —230.000 ხმა. ამ რიგად კომუნისტურმა პარტიამ მიიღო მოცემული ხმების (995.007) ერთი მეოთხედი და უფრო მეტი, ვიდრე მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიების კოალიციამ. ე. წ. „ფართე სოციალისტების" პარტია ყველაზე უმნიშვნელო პარტია არის ბოლგარეთში და არავითარი პოლიტიკური გავლენით არ სარგებლობს მასებში*)

სინდიკალურ მოძრაობა წარმოდგენილია „საყოველთაო სინდიკალური გაერთიანებით", რომელიც აკავშირებს 35.000 წევრებს. „საყოველთაო სინდიკალური გაერთიანება" მტკიცე კავშირში იმყოფება კომპარტიასთან. მას შემდეგ, რაც 1920 წელში რამდენიმე სინდიკატი, რომლებიც წინათ მხარს უჭერდენ „ფართე სოციალისტების პარტიას", „სინდიკალურ გაერთიანებას" შეუერთდა, ეს უკანასკნელი გადაიქცა ერთად ერთ ორგანიზაციად, რომელიც აკავშირებს ინდუსტრიალურ პროლეტარიატს. არსებობს კიდევ რამდენიმე „ნეიტრალური" სინდიკატი, რომლებიც აკავშირებენ სახელმწიფო მოხელეებს, მოსამსახურეებს, მასწავლებლებს და სხვა. ეს სინდიკატები, რომლებშიც თავს იყრის 10.000 მეტი კაცი, იმყოფებიან ბურჟუაზიული და წვრილ ბურჟუაზიული პარტიების გავლენის ქვეშ.

დასავლეთსა და ცენტრალურ ევროპის ქვეყნებში „სოციალისტურ" პარტიებს ყავთ ასეული ათასი წევრები; მილიონი მუშები გაერთიანებული არიან რეფორმისტული სინდიკატებში. სხვა ქვეყნების კომუნისტურ პარტიები აერთებენ პოლიტიკურად შეკავშირებული მუშების უმცირესობას, კომუნისტური პარტიები სინდიკატებში უმნიშვნელო გავლენით სარგებლობენ.

ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ და „სინდიკალისტურმა გაერთიანებამ" მიიღეს ერთიანი ფრონტის ტაქტიკა და ცხოვრებაში ატარებენ მას. სახელმწიფო მოხელეების და მასწავლებლების იმ სინდიკატებს, რომლებიც შედიან „საყოველთაო სინდიკალურ გაერთიანებაში", ერთიანი ფრონტის ცხოვრებაში გასატარებლად უხდებათ ბრძოლა „ნეიტრალურ" ორგანიზაციებთან და მათ სინდიკატებთან. კომპარტიამ როგორც პარლამენტში, ისე სათემო საბჭოებში და საერთოდ ყოველგან თავს იდვა ამ მოხელეების და მასწავლებლების ინტერესების დაცვა. ეს ტაქტიკა უკვე იძლევა შედეგებს.

სახელმწიფო მოსამსახურეების რიცხვი 120.000—დი აღწევს. ამ რიცხვიდან მხოლოდ უმცირესობაა შეკავშირებული. მთელი ეს მასა საშინელ ეკონომიურ პირობებში იმყოფება, მათი ჯამაგირები ბევრათ ნაკლებია ინდუსტრიალური მუშების საშუალო ხელფასზე. და აი, ამ მოსამსახურეებში თავი იჩინა მოძრაობამ, რომლის მთავარი მოთხოვნილებაა ჯამაგირების გადიდება და სხვა გაუმჯობესება. სახელმწიფო მოსამსახურეების ჩვენი სინდიკატები და კომუნისტური პარტია მიმართულებას აძლევენ ამ მოძრაობას.

„ფართე სოციალისტები" წინ აღუდგენ სახელმწიფო მოსამსახურეების და მუშების ერთიან ფრონტს და ამ რიგად დაკარგეს ის უკანასკნელი გავლენაც, რომლითაც ისინი ჯერ კიდევ სარგებლობდენ „ნეიტრალურ სინდიკატებში". ამ პარტიის გახრწნა ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. ის გამოხატავს მცირე-რიცხოვანი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის და წვრილი ხელოსნების ინტერესებს.

ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას და „საყოველთაო სინდიკალურ გაერთიანებას" უფრო მეტად უხდება მუშაობა შეუკავშირებელ მუშებს შორის, ვიდრე „ნეიტრალურ სინდიკატებში" ან სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც მუშათა მასების ახლო არსებობენ.

ერთიანი ფრონტის ტაქტიკა მდგომარეობს მშრომელთა შეკავშირებაში შეტევაზე გადმოსულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ; ამ შემთხვევაში მისი იარაღია რევოლიუციონური პროპაგანდა და კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება. მიზანს ჩვენ ვაღწევთ შეუკავშირებელი მუშების გაერთიანებული ფრონტის დაპყრობით, ვაწყობთ მუშათა კომისიებს ფაბრიკა ქარხნებში, მოსამსახურეების კომიტეტებს—დაწესებულებებში; თავს უყრით მუშებს სინდიკატებში, ვაახლოვებთ მათ პარტიასთან და თანდათანობით ვაკავშირებთ მათ ჩვენ მიერ წამოყენებული მოთხოვნილებების გარშემო.

ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ ასეთ გავლენას ფართე მასებში და ასეთ სიძლიერეს მიაღწია იმ აქტიობის წყალობით, რომელსაც ის იჩენს კომუნისტური პრინციპების და ერთიანი ფრონტის ტაქტიკის ცხოვრებაში გასატარებლად.

ქ. კაბაკჩიევი.

---

*) ბურჟუაზიულმა კოალიციამ 1923 წ. არჩევნებში მიიღო 219.000 ხმა ე. ი. ნაკლები, ვიდრე 1920 წ. (252.000 ხმა); გლეხურმა მთავრობამ დემაგოგიური ხრიკების და უსირცხვილო ზეგავლენის საშუალებით მოახერხა კვლავ მიეღო 100.000 ხმა (საერთოდ მთავრობამ მიიღო 437.000 ხმა).

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვა რუბეს რაიონის ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნებში.

რუბე-ტიურკუენის რაიონებში დაიწყო ყველა ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნებში გაფიცვა. გაფიცულია მუშების 90 პროცენტი. ერთიანი ფრონტი განხორციელებულ იქნა რეფორმისტულ პროფკავშირების ხელმძღვანელების გარეშე მუშებმა მოითხოვეს ძირითადი სამუშაო ხელფასის გადიდება 3 ფრ. 25 სანტიმამდე საათში (მომატება—1 ფრ. 10 სანტიმით).

პარიზის რკინის გზელების მოთხოვნილება.

რკინის-გზელების სამუშაო ხელფასი და მათი პენსიები არასოდეს არ ეფარდებოდენ სიძვირეს.

ამ ჟამად რკინის-გზელთა უნიტარული ფედერაციის ინიციატივით პარიზის რკინის გზელები მოითხოვენ რკინის გზის კომპანიებისაგან სამუშაო ხელფასის მომატებას წლიურად 1,800 ფრანკით, აქედან 720 ფრანკი შეადგენს მომატებას სიძვირის გამო და მოხუცებულ რკინის გზელების პენსიებს.

„ს. მ. მოძ.".

პოლონეთში

პროფესიონალური მოძრაობა

პოლონეთის თანამედროვე პროფესიონალური მოძრაობა საერთოდ შემდეგნაირად წარმოიდგინება: 1919 წელს მოხდა გაერთიანება კლასობრივ პროფესიონალურ კავშირების, რომლებიც შედიოდენ ამ დრომდე „ცენტრალური კომისიის" შემადგენლობაში, იმ კავშირებთან, რომლებიც შედიან პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.

ამ დროიდან პოლონეთის ყველა პროფკავშირები იყოფებიან „კლასობრივად" და „ნაციონალურად".

პოლონეთში უფრო ძლიერია კლასობრივი პროფესიონალური კავშირები. ამიტომ „პროფესიონალური კავშირების ცენტრალური კომისია", რომელიც აერთიანებს კლასობრივ პროფესიონალურ კავშირებს, ფაქტიურად წარმოადგენს მთელი პოლონეთის პროფესიონალური მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოს.

„ცენტრალური კომისია", რომელსაც ხელმძღვანელობს პოლონეთის სოციალისტური პარტია, ოფიციალურად შედის ამსტერდამის ინტერნაციონალში და აწარმოებს თავგამოდებულ ბრძოლას წითელ პროფინტერნთან.

„ცენტრალური კომისიის" ბელადები სასტიკ ბრძოლას ეწევიან კომუნისტებთან და არ ერიდებიან მათ გამორიცხვას პროფესიონალურ კავშირებიდან.

პროფკავშირების სეკრეტარიატის ცნობების მიხედვით, ყოფ. რუსეთის პოლონეთში კავშირის წევრებად ითვლებოდა 310.000 კაცი, გალიციაში—150.000 კაცი, პრუსიის პოლონეთში—27.000. ამას გარდა რკინისგზელთა დამოუკიდებელ კავშირში ითვლებოდა 28.000 წევრი. ებრაელთა კავშირში—62.000 წევრი.

პოლონეთის ნაციონალურ კავშირთა გაერთიანებებში შედის: ყოფ. რუსეთის პოლონეთის და გალიციის საოლქო საბჭოში—90.000 კაცი, ზემო სილეზიის და პოზნანის კავშირთა პოლონურ საბჭოში—250,000 წევრი და ქრისტიანულ კავშირებში—40 ათასი წევრი. ამრიგად, სულ პოლონეთის კავშირებში გაერთიანებულია 1,027,000 მუშა.

პროფესიონალურად შეკავშირებულ წევრების რაოდენობის ცვალებადობა უკანასკნელი წლების განმავლობაში ამგვარია: 1919 წელს პროფესიონალურ კავშირებში საერთოდ მოიპოებოდა 1,007,000 წევრი, 1920 წელს—1,117,000 წევრი, 1921 წელს 1,200,000 წევრი და 1922 წელს—1,027,000 წევრი.

ცალკე მსხვილ დარგებში ეს ცვალებადობა ხდება ამგვარად: მელითონეთა კავშირებში 1919 წ. ირიცხებოდა 39,000 კაცი, 1920 წ.—31,000 კაცი, სექტემბერში 1921 წ.—17,580; ფეიქართა კავშირში 1920 წ.—18,000 სამთომადნო მრეწველობის მუშათა კავშირში 1919 წ.—44,916, 1921 წ. დასაწყისში—30.624; რკინისგზელთა კავშირში 1919 წ.—75,000, ხოლო 1921 წ. დასაწყისში—91,000; სასოფლო სამეურნეო მუშათა კავშირში 1920 წ.—120,000; საამშენებლო მრეწველობის მუშათა კავშირში შეკავშირებული იყო 1919 წელს—16,000 კ., 1920 წ.—8000 და 1921 წ. დასაწყისში—5,000 კაცი.

ფაბრიკებში პროფესიონალურად შეკავშირებულ მუშათა რიცხვი შეადგენდა:

1920 წ.—260,000 კ. 1921 წ.—340,000 კაც 1923 წ. იანვარში—387,856 კაცი.

რაც შეეხება პოლონეთის პროფკავშირების პოლიტიკურ ორიენტაციას, უკანასკნელი ცნობის მიხედვით ასეთია:

პროფინტერნის თანამგრძნობ მუშების რიცხვი დაახლოვებით უდრის 250,000 კაცს; ამსტერდამის ინტერნაციონალს ემხრობა 403,000 კაცი. დანარჩენებიდან 50,000 კაცი ითვლება ქრისტიანულ კავშირებში და 640,000 ნაციონალურ კავშირებში.

კლასობრივ პროფესიონალურ კავშირების შემდეგ უფრო ძლიერ პროფესიონალურ ორგანიზაციას წარმოადგენს ეგრედ წოდებული „პოლონური კავშირი", რომელსაც ხელმძღვანელობს ნაციონალური მუშათა პარტია, რომელიც კლასობრივ ბრძოლას უმორჩილებს ნაციონალურ ინტერესებს. ამ ორგანიზაციის უფრო ძლიერი ორგანიზაციები მოიპოებიან პოზნანში, პომერანიაში და ლოძში—ფეიქრებს შორის. უკანასკნელ დროს ამ მუშებს ემჩნევათ მემარცხენეობა

შრომის სამინისტროს ცნობების მიხედვით, 1920 წ. ამ კავშირის წევრთა რაოდენობა უდრიდა 436,000 კაცს.

ქრისტიანული კავშირები აერთიანებენ სახლის მოსამსახურეებს, ნახევრად-დამოუკიდებელ ხელოსნებს და სოფლის მეურნეობის მუშებს. ეს კავშირები იმყოფებიან კათოლიკური სამღვდელოების ხელში.

ებრაელთა კავშირები დგანან კლასთა ბრძოლის ნიადაგზე და მათ ხელმძღვანელობს „ბუნდი". ისინი უმთავრესად აერთიანებენ ფაბრიკის მუშებს. 1920 წ. ამ კავშირების წევრთა რაოდენობა უდრიდა 91,676 კაცს.

ამ უკანასკნელ დროს, ძლიერი სამრეწველო კრიზისის გამო, პოლონეთში სწრაფად იზრდება უმუშევრობა. მარტში უმუშევართა რიცხვი პოლონეთში უდრიდა 220,000 კაცს. უმუშევრობა ყველაზე უფრო გავრცელებულია ფეიქრებსა, მელითონეებსა და სხვ. შორის.

მუშების დახვრეტა.

სუხედნევოში ერთმა მუშა-დელეგატმა ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნის დირექტორს განუცხადა პროტესტი უზომოდ დაცემულ ხელფასის წინააღმდეგ, რისთვისაც ის მალე დათხოვნილ იქმნა სამუშაოდან. მუშებმა, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ დათხოვნილის ისევ მიღებას, გააძევეს ქარხნიდან თვითონ დირექტორი.

მეორე დღეს დირექციამ ყველა მუშებს გაუსწორა ანგარიში. ადგილობრივმა პოლიციამ დასახმარებლად კელეციდან გამოიწვია 40 პოლიციელი და რამდენიმე დაპატიმრებულ მუშების ციხეში გაგზავნის დროს მოგროვილ მუშების ბრბოს აუტეხეს სროლა, რის შემდეგაც აღმოჩნდა ერთი მოკლული და ექვსი დაჭრილი მუშა. ამ ჟამათ ქარხანა, რომელიც დაკავებულია პოლიციის მიერ, არ მუშაობს.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მუშებსა და მოსამსახურეებს

(პროფკავშირებს და ადგილკომებს).

ამხანაგებო! გაჭირვებულთა ყველა ჯგუფებს შორის, მთელ გაჭირვებას შორის, რომელიც ჯერ კიდევ დიდია მუშურ-გლეხური ხელისუფლების მოსისხლე მტრების მიერ დაჭრილ ჩვენს ქვეყანაში, განა განსაკუთრებული ადგილი არ უჭირავს დასახიჩრებულ მეომრების გაჭირვებას? განა რევოლიუციონურ ქარიშხალის მიერ დასახიჩრებულ, დამსხვრეულ მეომრების ფიგურები არ ლაპარაკობენ იმ საშინლად დიდ, საშინლად პასუხსაგებ თქვენს მოვალეობაზე მათ წინაშე? განა გაჭირვებულ, დასახიჩრებულ მეომრების ეს ფიგურები არ ამოძრავებენ თქვენს ცოცხალ, ფხიზელ პროლეტარული სულის ძაფებს?

გუშინდელი მებრძოლები, რომელთაც რევოლიუცია უჩვენებდა გზას წინ, შეურიგებელ ბრძოლის გზას მშრომელი მასების ყველა მტრებთან საბოლოო რევოლიუციონურ გამარჯვებამდი—დღეს ისინი, მტრის ტყვიით დასახიჩრებულნი დგანან უსუსურნი, დამსხვრეულნი სამუდამოთ, მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში, დგანან და უცქერიან ჩვეულებრივი ცხოვრების მ მდინარეობას.—რასაკვირველია, თქვენთვის, პროლეტარებისათვის, მეტად ახლო და ძვირფასია ეს ხალხი, ეს მსხვერპლნი—არა უკანასკნელნი—მსოფლიო კაპიტალისა. და როდესაც ახლა ჩვენ მოუწოდებთ რევოლიუციის ამ გმირების შეკავშირებული დამკვრელი დახმარებისაკენ—მაშინ,—რასაკვირველია ამ კამპანიის დროს თქვენ პირველ რიგებში იქნებით. მთელი შეგროვილი თანხები მოხმარდება უმთავრესად ომში დასახიჩრებულთა სხვა და სხვა შრომის ორგანიზაციების მოწყობას (სახელოსნოები, არტელები და სხვ.) და მათთვის პროტეზების გაკეთებას, რომ საშუალება მივცეთ მათ შეძლებისდაგვარათ მიიღონ მონაწილეობა საერთო მუშაობაში ჩვენი მეურნეობის აღსადგენათ. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიციის მუშებმა ამ მხრივ უკვე გადასდგეს პირველი ნაბიჯი—მათ დასახიჩრებულთა სასარგებლოდ გადადვეს ზედმეტი საათების ნამუშევარი—338.945.000 მანეთი; სამხედრო წისქვილის მუშებმა გადადვეს —20.738.000 მ., წითელ-არმიელები კი რეგულიარულად ახდენენ გადარიცხვას თავის ჯამაგირებიდან, ჩვენ მხურვალეთ მოუწოდებთ საქართველოს ყველა მუშებსა და მოსამსახურეებს მიჰბაძონ ამ მაგალითს. დეე, თქვენმა წვლილმა ერთხელ კიდევ დაუმტკიცოს მუშურ გლეხური მთავრობის მტრებს, რომ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში, ბრძოლაში სამეურნეო ნგრევასთან და გაჭირვებასთან და სხვა, თქვენ გამოდიხართ მასით, როგორც ერთი კაცი,—გამოდიხართ როგორც შეკავშირებული მუშათა კლასი, რომელმაც არ იცის არავითარი დაბრკოლება თავის შეუკავებელ სტიქიურ მსვლელობაში წინ, თავისუფლების და ყველა მშრომელთა ბედნიერებისაკენ.

საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტთან არსებული ომში დასახიჩრებულთა დახმარების კვირის ჩამტარებელი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე **მიხა ცხაკაია.**

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი: **ქ. ხომერიკი.**

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

გორი. 22 მაისი. მაზრაში წინასწარი სამზადისი დაიწყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ასაკრეფათ. სამაზრო სასურსათო კომიტეტმა ორი სხდომა გამართა, რომელზედაც გამოიმუშავა გადასახადის ჩასატარებლად მისაღები კონკრეტიული ზომები. ადგილობრივ დაიგზავნა 29 ინსტრუქტორი—აღმწერი, საბოლოვო სიების შესადგენად და გლეხობაში აგიტაციის გასაწევად.

აზერბეიჯანი

ბაზრობა.

ბაქო. 22 მაისი. ბაქოს ბაზრობაზე გამოსაფენად განცხადებები მიღებული 1.000.000 ფუთი საქონლის. ჯერ მოსულია 120,000 ფუთი. სპარსეთის სოვდაგრები გულმოდგინეთ ემზადებიან ბაზრობისათვის. ბაქოს ბირჟის დროებითი დაკეტვის გამო, ბაზრობაზე ჯერ-ჯერობით არ არის მოწყობილი ბირჟის განყოფილებანი.

სომხეთი

მეტყავეთა პროტესტი

ერევანი 22 მაისი. მრავალრიცხოვან კრებაზე მეტყავეებმა გამოიტანეს რეზოლიუცია ინგლისის ნოტისა და ამხ. ვოროვსკის მკვლელობის თაობაზე, რომელშიც ნათქვამია: მუშა ხალხი ყოველ წუთას მზათ არის იქით გადასდოს თავისი ჩაქუჩი და ხელში აიღოს იარაღი მტაცებელ იმპერიალისტებთან საბრძოლველად.

სახელმწიფო გამომცემლობა ფართოვდება.

ერევანი 22 მაისი. სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებით სახელმწიფო გამომცემლობა სამეურნეო წესზე გადადის. სახელმწიფო გამომცემლობის განკარგულებაში გადადის ვაგარშაპეტის სტამბები და რამდენიმე დაწესებულება. სახელმწიფო გამომცემლობა უკვე შეუდგა სახელმძღვანელოების ბეჭვდას. იბეჭდება „დედა ენის" პირველი, მეორე და მესამე ნაწილი, თუმანიანის ნაწარმოები „გრიგორი და ამხ. რადეკის წერილი ლენინის შესახებ. სახელმწიფო გამომცემლობა ჰხსნის წიგნის მაღაზიებს ყველა სამაზრო ცენტრებში.

განათლების მუშაკთა ყრილობა.

ერევანი. 22 მაისი. 19 მაისს მუშათა კლუბში გაიხსნა სომხეთის განათლების მუშაკთა მეორე ყრილობა. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პეტროსიანმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყრილობა ორი დიდი მოვლენის დროს იმართება: ინგლისის ნოტისა და ამხ. ვოროვსკის მკვლელობის დროს. კაპიტალისტები იმის ნატვრაში არიან, რომ როგორმე შეაფერხონ და დაანგრიონ ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა.

სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალ კომიტეტის სახელით გამოვიდა ამხ. იონისიანი რომელმაც განაცხადა, რომ კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობის დადგენილებით, უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სოფლის დაკავშირება მუშებთან. შეეხო რა მასწავლებელთა დაახლოვების საკითხს სოფელთან, იონისიანმა განაცხადა: ყრილობამ უნდა გადასწყვიტოს ძირითადი საკითხები, თუ რა გზითა და საშუალებით უნდა შეასრულოს მასწავლებელთა პერსონალმა თავისი დანიშნულება. სახალხო კომისართა საბჭოს და განათლების კომისარიატის სახელით მიესალმა ყრილობას ამხ. მრავიანი, რომელმაც აღნიშნა მასწავლებლის როლი ქვეყნის კულტურულ განვითარების საქმეში. მისასალმებელ სიტყვის შემდეგ არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი, რის შემდეგაც თანამედროვე პოლიტიკურ ვითარების შესახებ დასაბუთებული მოხსენება გააკეთა ამხ. ოჰანესიანმა. მეორე სხდომაზე კავშირის ცენტრალურ სამმართველოს სახელით, კავშირის მოქმედების შესახებ, მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტერ-გრიგორიანი. მესამე და მეოთხე სხდომებზედ მოხსენებები გრძელდებოდა სხვა მოხსენებათა შორის, იყო მოხსენება ამხ. მრავიანისა სახალხო განათლების კომისარიატიატის მოღვაწეობის შესახებ.

პარტიული ცხოვრება

მბეჭდავთა კომუჯრედში.

მბეჭდავთა კომუჯრედის მორიგ სხდომაზე, დიდის ხალისით მოისმინეს ამხ. ჰუსეინოვის მოხსენება ინგლისის ნოტისა და ამხ. ლიტვინოვის პასუხის თაობაზე. ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მუშებს სურთ მშვიდობიანობა, მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ ინგლისის ვერაგული პოლიტიკა ომს მაინც გამოიწვევს, მუშები, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგებიან თავის სოციალისტური სახელმწიფოს დასაცავად.

ამის შემდეგ მოსმენილ იქნა განცხადებები პარტიაში შესვლის შესახებ, კომუჯრედში ახლად მიღებულია ორი ღირსეული ამხანაგი. მ.

პარტიული მუშაობა ახალქალაქის მაზრაში აპრილში.

ორგანიზაციის საერთო მდგომარეობა. ახალქალაქის ორგანიზაცია რიცხვობრივათ ძალიან პატარაა, ამიტომ მისი დაყოფა თემებათ და საინსტრუქტორო რაიონებათ საჭიროებას არ შეადგენს, აქ მუშაობენ მხოლოდ უჯრედები, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევენ სამაზრო პარტკომის ინსტრუქტორები. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ სიმცირემ ორგანიზაციის წევრებისამ იქონია შორს გავლენა მუშაობის გაძლიერებაზე და თვით წევრებს შორის სულიერი სიმტკიცის საბოლოოთ გამოსამუშავებლათ. ამასთან დაკავშირებით ორგანიზაციაში დისციპლინაც საკმაოთ განმტკიცდა და წევრებიც განსაკუთრებული ყურადღებით და შეგნებით ეპყრობიან ყველა პარტორგანოების დადგენილება — განკარგულებებს. წერა-კითხვის უცოდინარობა ორგანიზაციაში სრულიათ მოსპობილია. ეხლა სწარმოებს მუშაობა პოლიტ-წრეებში კომკავშირთან ერთად პარტ-წევრებში მარქსისტული და საერთოდ პოლიტიკური განათლების შესატანათ.

საერთოდ ხარისხობრივათ ორგანიზაცია შეიძლება ჩაითვალოს საშუალოთ და მუშაობის უნარის მქონეთ.

პარტაღმზრდელობითი მუშაობა. პარტაღმზრდელობით მუშაობას აწარმოებენ პარტკომისა და კომკავშირის საგიტ-საპროპაგანდო განყოფილებები. ატარებენ პოლიტიკურ და აგიტ-კამპანიებს სხვადასხვა მიმდინა-

რე საკითხებზე, როგორც პარტიული ხასიათისა აგრეთვე საბჭოთა აღმშენებლობის დარგიდანაც, ეწყობა ღია სხდომები, რომელზედაც ესწრებიან უპარტიონი და კომკავშირელებიც. წრეების მეცადინეობა სწარმოებს სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილების მიერ გეგმის მიხედვით. მაზრაში მუშაობს 14 სკოლა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ, მათში მეცადინეობს 217 კაცი. ვრცელდება როგორც ტფილისის აგრეთვე მოსკოვის გაზეთები. პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა გამოიხატა შემდეგში: ხელმძღვანელობა კამპანიების ჩატარებაში, ხელმძღვანელობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, ხელმძღვანელობა პოლიტწრისა და კლუბის მუშაობაში, ჩატარება კოლექტიურ ხელის მოწერისა გაზეთებზე, შედგენა კულტგანმანათლებელი კომისიისა და სხვ. ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ პარტკომისა და კომკავშირის ინსტრუქტორები, რომლებიც აკეთებდენ მოხსენებებს მასაში.

მუშაობა ქალთა შორის უმთავრესი მიღწევა ქალთა შორის მუშაობაში არის ის, რომ ქალთა განყოფილებამ მოახერხა სწორათ მიდგომა ამ საკითხში, თვით მამაკაცების საშვალებით და შესძლო დაეძლია ის ყალბი შეხედულება, როგორც ქმრებში, აგრეთვე ცოლებშიაც თითქოს ქალის კრებებზე სიარული და საერთოდ საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის მიღება რყვნიდეს ქალს, ეს გამარჯვება აიხსნება მით, რომ ქალთა წარმომადგენელი მონაწილეობას ღებულობდა დამშეულთა კომიტეტში, დამთეს კომისიებში და მუშათა კოოპერატივში, ჰინაიდან ულარიბეს გლეხობას ხშირად აქვთ ამ დაწესებულებებთან საქმე და ისინი ხედავენ რა ქალთა წარმომადგენლებს თვითონვე ხდებიან ქალთა განყოფილებაში საუკეთესო აგიტატორებათ. ქალთა განყოფილების არსებობაზე იციან თვით მიყრუებულ სოფლებშიაც; ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ძალიან ხშირად ქმრები და ცოლები როცა რაიმე უთანხმოება იჩენს მათ შორის თავს, მიმართავენ ქალთა განყოფილებას დახმარებისა და დარიგების მისაღებათ და უკანასკნელიც ღებულობს ყველა მისგან დამოკიდებულ ზომებს.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის. პარტიის ხელმძღვანელობა ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობაში გამოიხატება შემდეგში: პარტკომს ყავს მიმაგრებული კომკავშირზე თავისი წარმომადგენელი 1904 წლის სტაჟით. კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულია თითო კომუნისტი, რომლებიც აწარმოებენ მუშაობას კომკავშირის კომიტეტის დირექტივების თანახმად. ამასთან პარტკომის ინსტრუქტორები მაზრაში გამგზავრების წინ შედიან კომკავშირის სამაზრო კომიტეტში დირექტივების და ინსტრუქციების მისაღებათ.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში

(ხარჯ-აღრიცხვა 1923 წ. იანვრიდან—მარტამდე).

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილების თანახმად მიღებულია ა. | წ. იანვრის-მარტის ხარჯთაღრიცხვა შემდეგი სახით: სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მოსაგები—35,000 მანეთი ოქროთი, სალიცენზიო გადასახადი—32,000 მ. პროცენტები კაპიტალზე 1 მილ. 30.000 მ., ძირტკბილას ოპერაციიდან—12,000 შენობის იჯარიდან—1000, სულ—110,000 მან.

ამავე პერიოდისათვის გასავალის ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია სულ—97,580 მანეთის რაოდენობით.

ამიერ-კავკასიის ცენტროკავშირში მატყლის დამზადება.

დაიდო ხელშეკრულება ცენტროკავშირთან, რომლის ძალითაც უკანასკნელმა უნდა დაამზადოს საკომისიო წესით 3000 ფუთამდე მატყლი.

ცეკავშირში.

ცეკავშირმა მიიღო საზაფხულო სეზონისათვის (მაისი-სექტემბერი) საქონლის განაწილების შემდეგი გეგმა. ფქვილი 35,000 ფუთი 61,250 მ. ღირებულებით, შაქარი—15,000 ფ. 100,000 მან. ღირებულებით, მანუფაქტურა 100,000 მანეთის ღირებულებით და სხვ., სულ—532,250 მანეთის ღირებულებით. ამ ჟამად შესყიდულია და მოთავსებულია საწყობში საქონელი 240,000 მანეთის (ოქროთი) ღირებულებით.

რადგანაც მცხოვრებთა სყიდვითი უნარი შესუსტებულია და დაუმკვიდრებელია კურსი ქაღალდის ფულზე, ცეკავშირმა გადასწყვიტა ხელი მიჰყოს საქონლის გაცვლა-გამოცვლას, რათა გამოცოცხლდეს ვაჭრობა სოფელთან, რომელიც ვერ ანაღდებს თავის ნაწარმოებს.

ამისათვის ცეკავშირმა დაავალა რაიონულ კავშირებს დაამზადონ რაიონის პირობებთან შეფარდებით პროდუქტები, მაგალითად: კახეთში—მატყლის და ჯაგარის დამზადება, ქართლში—მატყლის, იმერეთში—მოცვის ფოთოლის, ჯაგარის, სამეგრელოში და გურიაში—სიმინდის, ჩაის ჯაგარის და სხვ.

სახლები რუსეთისათვის.

აბასთუმანში ქარაბექოვის და სუმბათოვისეული სახლები დაეთმო რ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, მათ რემონტისათვის ხარჯთ აღრიცხვა გაიგზავნა მოსკოვში.

წაღვერში.

წაღვერში მღებრიშვილის სახლი ეწყობა სანატორიუმად 50 საწოლით საკურორტო სამმართველოს დადგენილების თანახმად. საქ. პროფ. საბჭ. საერთო პირობების თანახმად შესასვენებელი სახლების მოსაწყობათ გადაეცა კეჩხობში ის აგარაკები, რომელნიც სამმართველოს მიერ აღრიცხულნი არ იყვნენ.

პატარა-ცემში.

პატარა ცემში ეწყობა სანატორიუმი 50 საწოლით, რისთვისაც სწარმოებს სათანადო რემონტი. იჯარით გადაეცა რკინის გზის სამმართველოს დიდი ცემის სანატორიუმი.

ბორჯომის საავადმყოფო.

ბორჯომის საავადმყოფო, რომელიც ადგილობრივი ჯანმრთ. განყოფილების ხელში იყო, კოლეგიის თანახმად საკურორტო სამმართველოს უწყებაში გადავიდა.

200 საწოლი აბასთუმანში სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და ორგანიზაციებისათვის.

სამმართველოს კოლეგიის დადგენილების თანახმად, მთელი სასახლის რაიონში აბასთუმანში ეწყობა სანატორიუმი 70 სადგომით, შუა აბასთუმანში გოკიელისეული სახლი 30 სადგომით და ქვემო აბასთუმანში სამხედრო ჰოსპიტალი 125 სადგომით საქართველოს პასუხისმგებელ მუშაკებისათვის, რისთვისაც სწარმოებს შესაფერი რემონტიც.

ბაკურიანში.

მამულების სამმართველოსეული ყველა სახლები დანიშნულია დასასვენებელი სახლების მოსაწყობად და იჯარით მიეცემა პროფკავშირებს, სამნეო ორგანოებს, კოოპერატივებს და აგრეთვე კერძო პირებსაც.

კურსები უმცროს მედპერსონალის მოსამზადებლად.

კოლლეგიის დადგენილების თანახმად უკვე მოეწყო ბორჯომსა და ტფილისში უმცროს მედ-პერსონალის მოსამზადებლად კურსები ტფილისსა და ბორჯომში, რისთვისაც გადადებულია 800 მანეთი (საქონლის).

საბავშვო დღესასწაული

დღეს, ხუთშაბათს 24 მაისს სახალხო განათლების კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარ მმართველობის ხელმძღვანელობით მოეწყობა საქართველოში პირველი საბავშვო დღესასწაული.

დღევანდელი დღე ჩვენში პირველად აღინიშნება ბავშვების აღზრდის ისტორიაში და სათანადო ადგილსაც დაიჭერს.

დღეს უნდა მოხდეს იმის დანახვა, თუ როგორ იზრდება ჩვენი ახალთაობა და რა მომავალს გვიქადის ის ჩვენ.

დემონსტრაციაში უნდა მივიღოთ მონაწილეობა ყველამ განურჩევლად სქესისა ეროვნებისა და წლოვანებისა.

დღეს უნდა დავაჯილდოვოთ ჩვენი ახალთაობა მთელი ჩვენი ყურადღებით და უშუალო მონაწილეობით.

ბავშვების მეგობრები—შეფები და მზრუნველები დღეს უნდა ამოუდგნენ ბავშვებს გვერდში და მათთან ერთად იდღესასწაულონ ეს ღირსშესანიშნავი დღე.

დემონსტრაცია დაიწყება 10 საათზე.

დილიდანვე ბავშვები 8 საათზე იკრიბებიან თავთავიანთ სკოლებში; აქედან მოდიან თავისუფლების მოედანზე.

მოედანზე შესდგება საბავშვო მიტინგი.

11 საათზე დაიძვრის დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტით და ჩაივლის ვერის დაღმართით და კირკის ქუჩით პლეხანოვის პროსპექტს.

ყოველ რაიონს წინ გაუძღვება ორკესტრი.

5 საათზე ბავშვები შეიკრიბებიან შემდეგ რაიონებში:

1. რაიონი—[illegible] 2. რაიონი—დიღმის [illegible] სკოლა, 3. რაიონი—[illegible], 4. რაიონი—სპარტაკი № 1, 5. რაიონი—საბურთალო შრომის სკოლა № 53, 6. რაიონი—ავლაბარი მე-9-ე ტეხნიკუმი.

ყველა ამ რაიონში იქნება ორკესტრები და გაიმართება აგრეთვე ტანთვარჯიშობა.

ცენტრში მცირეწლოვანთათვის გაიმართება კინემატოგრაფიული სურათების ჩვენება შემდეგ კინოებში:

1. კინო-პალასი—პლეხანოვის პროსპექტი.
2. ვარსკვლავი—ყოფ. სასახლის ქ.
3. არტისტო—რუსთაველის პროსპექტი.
4. სოლეილ—ოლღას ქუჩა.
5. მინიონი—არსენ ჯორჯიაშვილის ქუჩა.

ზოგიერთ სკოლებსა და ყველა საბავშვო სახლებში მოეწყობა სალიტერატურო სალამოები, სადაც იქნებიან მოწვეულნი მუშები და საბჭოთა ორგანიზაციები. შეფები ამ დღეს აბარებენ თავიანთ სკოლებს დროშებს.

ამ დღეს მოხდება კინო-სექციის მიერ მთელი დღესასწაულის და დემონსტრაციის გადაღება.

საჭიროა ამ დღეს ყველა დაწესებულებებმა დაგვეხმაროს არა სატვირთავი და სატვირთავი ავტომობილები ბავშვების დასატარებლად რაიონებსა და სკოლებში.

ყველამ ამ დღისათვის უნდა გამოიჩინოს დიდი ყურადღება ჩვენ მომავალ ახალთაობის საკეთილდღეოთ.

საბავშვო დღესასწაულის მომწყობი კომისია.

ეკონომიური ცხოვრება

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ ვალიუტის კურსის დამწესებელ დროებით კომისიის ოფიციალური კურსი.

(23 მაისი)

საბჭოთა ფულის ნიშნები მიმდინარე წლის ნიმ. 1 მ.—17 ათასი.

ჩერვონცები (რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ბანკნოტები)—10,700 ათასი.

გირ. ეფექტ.—12 500 ათასი
გირვან. ჩეკები—11,500 ათასი
დოლ. ეფექტ.—2.700 ათასი
დოლარ. ჩეკები—2,450 ათასი
ოსმ. ქალ. ლირა—1,700 ათასი.

სახონლის ბირჟის ფასები.

(საბითუმო).

ხორბალი ყუბანის—1700—1800 ადგილობრივი ხორბალი—1600, ლობიო—700—1200. ფქვილი „კრუპჩატკა"—4000. ყუბანის ფქვილი 1 ხარ.—3200—3500. შაქარი რაფინადი ფუთი—28—29 ლირა. კარაქი 1 ხარ.—24000—27000. რუსული ნარმა 16 ვერ. არშინი—450—550.

მთლიანი მუშათა კოოპერატივის ფასები.

(23 მაისი).

რუსული ფხვნილი შაქარი—350 ათ. საპონი „ტოლლე"—300. ადგილობრივი საპონი მარმარ.—300 ათ. ჰრელი ლობიო 30. წითელი ლობიო—25—30. რუსული ნარმა 16 ვერ. არშინი—450—550 ათ. ასანთი—25 ათ.

ძვირფასი ლითონის ფასი.

(23 მაისი).

ოქრო 96 სინჯით—3 მ. 60 კაპ.
ოქრო 56 სინჯით—1 მ. 80 კაპ.
ვერცხლი ერთი მისხალი 7 კ. 1 მან. ხურდა ვერცხლით—18,5 კაპ.

ბაქოს ბაზრობა.

ბაქოს ბაზრობაზე პერიოდიული ბაზრების მონაწილეობის გასაადვილებლად, ბაზრობის კომიტეტმა გაგზავნა სპარსეთში ორი წარმომადგენელი. გაგზავნილია აგრეთვე ბაზრობის კომიტეტის რწმუნებული თურქესტანში, ხივაში და ბუხარაში.

ინგლისელები და რუსეთის ტყე.

ედინბურგის უნივერსიტეტის მეტყეობის პროფესორმა სტებბინგმა, რომელიც რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში არის ნამყოფი, ლონდონის „ხელოვნების სამეფო საზოგადოებაში" მოხსენება წაიკითხა რუსეთის ჩრდილოეთ ტყეების შესახებ. თავმჯდომარემ—ბრიტანეთის მთავრობის სატყეო ნაწილის მთავარი კომისარი, თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთი ომამდის რუსეთიდან ღებულობდა ყველა იმ სატყეო მასალის ნახევარს, რომელიც მისთვის იყო საჭირო. ომის დაწყების გამო ეს წყარო დაიკეტა და ინგლისი რუსეთიდან ვეღარ ღებულობდა სატყეო მასალას. ომის დროს და ომის შემდეგ პირველ წლების განმავლობაში ეს კიდევ შესაძლებელი იყო, თუმცა ფასები სატყეო მასალაზე 4 ჯერ მეტად გაიზარდა იმის მიხედვით, რაც ომამდი არსებობდა. ამის გარდა ინგლისის მთავრობას მოუხდა ტყის დიდი სივრცის გაჩეხვა ინგლისსა და შოტლანდიაში და ამით დიდი ზიანი მიაყენა ინგლისის მეტყეობას. უკანასკნელ დროს აღორძინებულ აღმშენებლობასთან დაკავშირებით სდგება საკითხი—საიდან ვიშოვოთ საჭირო სატყეო მასალა. ამდენ ხანს კანადა კარგი წყარო იყო, მაგრამ ეხლა მოთხოვნილება სატყეო მასალაზე ამერიკაშიც იმდენათ გაიზარდა, რომ ახლო მომავალში ძნელი იქნება იქიდან სატყეო მასალის მიღება.

ერთად-ერთი გამოსავალი ინგლისისათვის არის რუსეთის ჩრდილოეთ მხრიდან ტყის ექსპორტში გაცხოველებული მონაწილეობის მიღება.

პროფ. სტებბინგმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ინგლისის მომავალ 50 წლის განმავლობაში სატყეო მასალით უზრუნველსაყოფათ საჭიროა მიღებულ იქნეს რუსეთის მთავრობისაგან კონცესია ოლონეცის გუბერნიის ნახევარი მილიონი აკრის საექსპლოატაციოთ ქაღალდის წარმოებისათვის საჭირო ბალანსის დასამზადებლად; ამას გარდა კონცესია ერთნახევარ მილიონ აკრის დასამუშავებლად ვოლოგოდის გუბერნიაში და ერთი მილიონი აკრის მდინარე ობზე.

საზ. „ჩემო" და ვალიუტის საკითხი

ვალიუტის საკითხმა საზოგადოება „ჩემო" მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. საქმე იმაშია, რომ იმ ერთად ერთ ვალიუტის კურსი, რომლის საშუალებითაც საზოგადოება მოქმედობს—გირვანქა სტერლინგების კურსი უდრის 8.150.000 მან. იმ დროს, როდესაც ოქროს 10 მანეთიანი ფასობს 15 600.000 მ, რაც სტერლინგის ღირებულებას ოქროში 5,22 მ. უდრის. რომ ოქროსა და სტერლინგის ასეთი ურთიერთ შორის დამოკიდებულება იყოს საზღვარგარეთაც, მაშინ ის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, ნამდვილათ კი ურთიერთ დამოკიდებულება რჩება ძველი ე. ი. გირვანქა უდრის 9,46 მ. ოქროთი.

ვყიდით რა საზღვარ-გარეთ შავქვას გირვანქა სტერლინგებზე 9 მან. 46 კ. ოქროს კურსით და გადაგვყავს რა შემდეგ აღებული თანხები წარმოების ადგილას, თვითეულ გირვანქაზე ვღებულობთ 9 მ. 46 კ. კი არა, არამედ 5 მ. 22 კ. ე. ი საქონელში ვღებულობთ არა მის სრულ ღირებულებას, არამედ ნახევარზე ცოტა მეტს. ამ რიგათ, მიუხედავათ იმისა, რომ შავი ქვის ექსპორტი შესამჩნევათ გაიზარდა, გაიზარდა აგრეთვე საქონლის ფასები საზღვარ-გარეთის ბაზარზე 13-დან 21 პენსამდე ლითონის ერთეულზე და გუმჯობესდა დატვირთვის პირობები ფოთში, ბოლოს და ბოლოს ეს გადიდება სრულებით იკარგება იმ ხელოვნური კურსის გამო ოქროზე, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე სუფევს. ამის გამო საზოგადოება წელს იმაზე ნაკლებს იღებს, რასაც შარშან იღებდა შავი ქვაზე დაკლებულ ფასების დროს.

საილუსტრაციოთ მოგვყავს 1922 და 1923 წ. კურსების შემდეგი ცხრილი:

თვეები	1922 წ.		1923 წ.	
	გირ. სტერ.	ოქრო	გირ. სტერ.	ოქრო
იანვარი . . .	1400	1600	2650	4050
თებერვალი .	1525	1800	3575	5100
მარტი	900	1000	3450	5300
აპრილი . . .	950	1000	4000	6675
მაისი. . . .	975	1000	7600	14400
ივნისი	1200	1200		
ივლისი . . .	1260	1200		
აგვისტო. . .	950	950		
სექტემბერი .	1150	1150		
ოქტომბერი .	1150	1150		
ნოემბერი . .	975	1050		
დეკემბერი . .	1150	1700		

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს 1922 წ. ოქროსა და გირვანქის შორის ურთიერთ დამოკიდებულება ირყეოდა 9 და 10 შუა. ნოემბრის ბოლოდან კი ეს დამოკიდებულება გირვანქა სტერლინგისათვის შესამჩნევად უარესდება და 1 მაისისათვის აღწევს 5,36, შემდეგ კი 5,22 შემდეგი დაცემის ტენდენციით.

გირვანქა სტერლინგის კურსის ასეთი ჩქარი დაცემა ხდება რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის გახსნისა და ბათომის საბაჟოს დაკეტვის დროს.

საზოგადოება „ჩემო"-ს ანგარიშების მიხედვით მტკიცდება, რომ ოქროსა და გირვანქის შორის ურთიერთ დამოკიდებულება მდგომარე წელში რომ რეალური იყოს და არა ხელოვნური მადანის თვითეულ ფუთზე 21 პენსის ღირებულებით, თვითეულ დატვირთულ ფუთ მადანზე მივიღებდით 49,27 კ, ნამდვილად კი დაბალ კურსის გამო ვღებულობთ სულ 27,26 კ.; ამრიგად, მიუხედავათ იმისა, რომ საზღვარ-გარეთ შავიქვის ფასი წარსულ წელთან შედარებით 6 პენსით გაიზარდა, საზოგადოების მდგომარეობა გაუარესდა, რადგან წარმოების ადგილზე ის თვითეულ ფუთ მადანზე 4,57 კ ნაკლებს ღებულობს. ასეთი მდგომარეობა მეტისმეტად საშიშია და სერიოზულ შედეგით აღსავსე, თუ თავის დროზე არ იქნება მიღებული ზომები აღნიშნულ მოვლენის მოსასპობად.

ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ საზოგადოება შავიქვის ამოღებისა და მისი ექსპორტისათვის ხარჯებს ოქროს კურსით ან-და საქონლის მანეთებში იწევა. ოქროს კაპეიკებშია აგრეთვე გამოანგარიშებული საქონლის თვითღირებულება, რომელიც მდგომარე წელში გამოიხატება 37 კ. წარსული 32,59 კ. წინააღმდეგ, რაც ამ წელში 10 კ. ზარალს გვაძლევს თვითეულ ფუთზე.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ გირვანქა სტერლინგის ფასი ასე რომ არ დაცემულიყო, შავიქვის მრეწველობა მეტად მტკიცე იქნებოდა, რადგან არსებულ ფასებში 12 კაპეიკი მოგება იქნებოდა მიღებული თვითეულ ფუთზე.

ზემოთ ნაჩვენებ მდგომარეობის გამო შავიქვის მრეწველობა ნელნელა სუსტდება და შეიძლება სულ დაიღუპოს, თუ სახელმწიფოს მიერ სასწრაფოდ არ იქნება მიღებული ზომები ვალიუტის საკითხის მოსაგვარებლად.

ქართულ სამეურნეო საზოგადოებაში

მეღვინეობა-მევენახეობის მდგომარეობა საქართველოში.

ამ თვის ოცში სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა ს. ჩოლოყაშვილმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხსენება გააკეთა მევენახეობის მდგომარეობის შესახებ ჩვენში.

მომხსენებელმა თავის მოხსენებაში გაატარა ის აზრი, რომ მევენახეობა, რომელიც უმთავრეს დარგს შეადგენდა და შეადგენს ჩვენი სასოფლო მეურნეობისას და საქართველოს ზოგიერთ კუთხეებისათვის—ეკონომიურ ცხოვრების წყაროს, დღეს განიცდის ფრიად უნუგეშო მდგომარეობას და მოითხოვს ჩვენგან აღდგენას, აღორძინებას.

მომხსენებლის აზრით, თელავის მაზრაში საერთო სივრცე ვენახებისა 1914 წლიდან 1923 წლამდე შემცირებულა 4000 დესეტინით, ე. ი. 50 პროცენტი. ესევე ითქმის საქართველოს დანარჩენ კუთხეებზედაც.

„მევენახეობის დაცემა დაიწყო ომის დაწყებიდან და გრძელდება დღესაცაო.

„მისი გამომწვევი მიზეზები არის ვაზის ავადმყოფობათა გაძლიერება წამლების უქონლობის გამო. ომმა და მერე ბლოკადამ გააძნელეს შაბიამანის და გოგირდის შემოტანა ჩვენში საზღვარ-გარეთიდან, რის გამო შეუძლებელი გახდა ვენახების წამლობა ობისა და ნაცრის წინააღმდეგ და ამ გარემოებამ გაახმო ბევრი ვენახი. ფილოქსერამ ძალიან მოიკიდა ფეხი კახეთში და იმერეთში, ამერიკულ ლერწის სანერგეებმაც შესწყვიტეს მუშაობა და ამის გამო შესუსტდა თვით ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლაც. „მეღვინეობის კომიტეტის გაუქმებით, რომელიც ზრუნავდა მევენახობა-მეღვინეობაზე, მოისპო მთლათ საზოგადოების და მთავრობის ზრუნვა-პატრონობა მეურნეობის ამ დარგზე.

„მევენახეებსაც გული აუცრუვდათ მევენახეობაზე, რადგან, ჯერ ერთი, წამალს ვერ შოულობდნენ რომ ეწამლათ მილდიუსათვის, მეორე ის, რომ ვენახების ნაწარმოებზე ე. ი. ღვინოსა და არაყზე ფასები დაეცა და უცხო ბაზარზე გატანა კიდევ შეუძლებელი გახდა დიდი ბაჟისა და ტრანსპორტის მოშლის გამო.

მეღვინეობის კომიტეტის გაუქმების შემდეგ მის მაგიერი დაწესებულება არ დაარსებულა, რომელიც ყოფილიყო მევენახეობა-მეღვინეობის მოამაგე-მფარველი.

მთავრობა აწესებდა დიდ ბაჟებს ღვინოზე სავალდებულო სახით, რკინის გზით გადასაზიდ ფასსაც ღვინოზე შედარებით სხვა საქონელთან მეტს აწესებდა და ეს ხელს უშლიდა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას „ფილოქსერის წინააღმდეგ საუკეთესო საბრძოლველ საშუალებათ დღეს აღიარებულია ვენახების გაშენება ამერიკულ მწარე ვაზის საძირეზე და კახეთი ომამდე ყოველწლიურად საჭიროებდა 12 მილიონ ნერგს რომ 2000 დესეტინა ახალი ვენახი გაეშენებია; ყველა ჩვენმა ამერიკულ ვაზის სანერგეებმა-კი წელს მოგვცეს მარტო 150 000 მეტრი ლერწი. ბაჟებმა, სარკინისგზო გადასაზიდ უზომო ფასებმა და სხვა მრავალ შემავიწროებელმა გარემოებებმა მეტათ დასცეს ჩვენებურ ღვინის ფასები: თუ ომამდე ვედრო ღვინოს ფასი უდრიდა ორ ფუთ პურის ფასს და ფუთნახევარ შაბიამანისას, დღეს ის უდრის 5 გირვანქა შაბიამანის ფასს და ერთ ფუთ ნახევარ პურის ფასს. ღვინის ფასის დაცემამ, წამლების უშოვნელობამ და მწარე ლერწის სინაკლემ ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ფილოქსერა-მილდიუ-ნაცრის გაძლიერებამ ხელი შეუწყვეს ჩვენებურ მევენახეს თავი მიენებებინა ძვირფას და სარგებლიან სამეურნეო დარგის, მევენახეობისათვის და გადასულიყო ხორბლეულის თესვაზე.

გარეშე ამხანაგობების და საწარმოო კოოპერატივებისა ჩვენს მძიმე პირობებში პირდაპირ შეუძლებელი გახდა, როგორც ვენახის დამუშავება, წამლობა, საჭირო იარაღების შეძენა, ისე ნაწარმოების სათანადო გადამუშავება ღვინოთ და სპირტათ და ბაზარზე გასაღება.

ჩვენებურმა მევენახეებმა-კი არა თუ ჯერ ვერ შესძლეს ასეთ ამხანაგობებათ შეკავშირება, არამედ ამაზე არც-კი არავის უფიქრია მაშინ, როდესაც აზერბეიჯანის გერმანელი მევენახენი ყველა შეკავშირებულნი არიან და ბაზარზე შეკავშირებულნი გამოდიან თავიანთ საქონლით, ღვინით და სპირტით.

თუ ახლავე სათანადო ზომები არ იქნა მიღებული მთავრობის და საზოგადოების-მიერ და შეჩერებული არ იქნა ვენახების განადგურება, შეიძლება ახლო მომავალში მევენახეობა ჩვენში მთლათ მოისპოს და მოგვესპოს არა თუ სავალიუტო საქონელი, ღვინო და სპირტი, არამედ სასმელი შინ სახმარი ღვინოც-კი.

მომხსენებელს თავის მხრივ საჭიროთ მიაჩნია მევენახეობის აღსადგენათ მთავრობის ყურადღების მიპყრობა, ღვინოზე ბაჟების გაუქმება, ღვინოზე გადასაზიდ ფასის შემცირება, ამერიკულ ლერწის სანერგეების მოწყობა და მათში მუშაობის გაცხოველება, მწარმოებელ კოოპერატივების დაარსება და დაარსება მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტისა, რომელიც მუდმივი მზრუნველი და მოამაგე, იურიდიულ უფლებებით აღჭურვილი, ორგანო იქნება მევენახეობის და მეღვინეობის ინტერესების დამცველი".

კამათის შემდეგ მცირეოდენ ცვლილების შეტანით მომხსენებლის დებულებები იქნა კრების მიერ მიღებული შემდეგ რედაქციით:

1) მევენახეობის მდგომარეობა საერთოდ ჩვენში მძიმეა და კერძოთ კახეთში კატასტროფიული.

2) საჭიროა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ჩვენებურ მევენახეობას და მიიღოს სათანადო ზომები მის აღსადგენათ.

3) საჭიროა მწარმოებელ კოოპერატივების დაარსება და არსებულების გადახალისება თანახმათ თანამედროვე მოთხოვნისა. ამათ უნდა იკისრონ ვენახის საჭირო წამლების, იარაღების, ხელსაწყობების მოპოვება, ნაწარმოების მოგროვება, გადამუშავება და გასაღება.

4) უნდა დაარსდეს მეღვინეობის და მევენახეობის კომიტეტი, რომელიც იურიდიული უფლებებით იქნება აღჭურვილი და დაიცავს მეურნეობის ამ ძვირფასს დარგს.

5) დაარსდეს მევენახეობა-მეღვინეობის სადგური.

დამსწრე.

საკურორტო სამმართველოში

მშენებლობითი-სარემონტო მუშაობა ბორჯომში.

საკურორტო სამმართველოს განკარგულების თანახმად ბორჯომში სწარმოებს და სეზონის დაწყებისათვის დამთავრდება დიდი მშენებლობითი და სარემონტო მუშაობა. დაწყებულია მიხაილის, სერგის და ლივანისეულის სასახლეების და ყოფილ ხიმერიძის სახლის, სასტუმრო „მინერალური წყლების" და „ფირუზე"-ს შეკეთება. მიღებულია ზომები ქვაბების სათბობი ენერგიის გასაძლიერებლად. უკიდურეს საჭიროების დროს, განზრახულია წყლის სათბობად ახალი კუბის დადგმა.

სწარმოებს რემონტი სახელმწიფო მამულისეული ვანებისა. დაწყებულია მუშაობა მდინარე ბორჯომი ნაპირების გასამაგრებლად.

უკვე დასრულებულია ორმოების გაწმენდა და კანალიზაციის რემონტი.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში.

სალექციო მუშაობა.

ლექტორების, სანიტარულ მდივნის და მთავარ კლუბის წარმომადგენლის მონაწილეობით გაიმართა სხდომა ზაფხულში სალექციო მუშაობის გეგმის შესადგენად. სხდომაზე არჩეულ იქნა ბიურო, რომელსაც დაევალა სასწრაფოდ გამონახოს ახალი ლექტორები საბუნებისმეტყველო პროფესიონალურ და მეცნიერულ საგნებზე. კრებამ საჭიროდ დაინახა ლექტორთა გასამრჯელოს გადიდება.

ახალი სკოლა.

მთავარ სასურსათო განყოფილების მუშებისათვის 21 მაისს კულტგანყოფილებამ გახსნა რუსული სკოლა.

საბჭოთა მუშაკების კავშირში.

17 აპრილიდან 9 მაისამდე საბჭოთა მუშაკებისათვის გახსნილ იქნა 8 სკოლა, სადაც მეცადინეობს 142 ამხანაგები.

ფეიქართა კავშირში.

კავშირთა სახლების შესახებ.

ფეიქართა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: ბავშვთა სახლები გადასცეს სახალხო განათლების განყოფილებას.

მუშების გაგზავნა აგარაკებზე.

კავშირმა შეიმუშავა წესი მუშების აგარაკზე გასაგზავნად და სთხოვა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, რათა მან აცნობოს, თუ რამდენი ადგილი აქვს დათმობილი ფეიქართა კავშირს მიმდინარე ზაფხულში აგარაკებზე.

ურთიერთ დამხმარე კასსა.

პრეზიდიუმმა დააწესა ურთიერთ-დამხმარე კასაში შესატან გადასახადად ხელფასის 1 პროცენტი, ხოლო კასაში ჩაწერის დროს წინასწარ უნდა გადაიხადოს ნახევარი დღის ხელფასი.

სენაკის მაზრაში.

კოლექტიური ხელშეკრულებები.

პროფკავშირთა საბჭოს სენაკის პროფბიურომ მაზრის ყველა დაწესებულებებთან ხელ ახლად დადვა კოლექტიური ხელშეკრულებები. საფუძვლად მიღებულ იქნა კანცელარიის მოსამსახურეთათვის საქონლის 8 მანეთი და ფიზიკურ მომუშავეთათვის საქონლის 9 მანეთი. მაგრამ შემდეგ პროფბიურომ მიიღო მხედველობაში სამეურნეო ორგანოების ფინანსიური მდგომარეობა და კოლექტიურ ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო კანცელარიის მომუშავეთათვის საქონლის 5 მ. 50 კ. და ფიზიკურ მომუშავეთათვის—7 მანეთი.

შრომის ინსპექტორის და ყრილობის დელეგატების არჩევნები.

სენაკის პროფბიუროს მიერ უკვე ჩატარებულ იქნა შრომის ინსპექტორის და პროფკავშირთა ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები.

მიწა-ტყის კავშირში.

მუშები გამოფენაზე.

მიწა-ტყის კავშირის გამგეობამ დაადგინა შეიმუშავოს კავშირის წევრთა სია, რომელთაც რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გამგზავრების სურვილი აქვთ.

ბავშვების გაგზავნა აგარაკებზე

მიწა-ტყის კავშირის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ურთიერთ დამხმარე კასის ბიუროს, კავშირის წევრების მცირე წლოვან ბავშვებისათვის სახლის მოსაწყობი ხარჯები მიიღოს თავის თავზე.

ამიერ-კავკასიის ერების სახალხო კონცერტები თურქესტანში

საქართველოს განათლების კომისარიატის დავალებით ახალგაზრდა კომპოზიტორი ერვანდ სარდარიანი გაემგზავრა თურქესტანში ქართულ, სომხურ და თათრულ კონცერტების გასამართავათ. სარდარიანი გაემგზავრა 5 ენკენისთვეს და დაჰყო თურქესტანში 10 მაისამდე.

ამ ხნის განმავლობაში ამხ. სარდარიანმა მოაწყო 27 გუნდი და ამდენივე კონცერტი, აგრეთვე გამართა 10 საბავშვო კონცერტი, შემდეგ ქალაქებში: პალტორაცკში, კრასნოვოდსკში, ტაშკენტში, სამარკანდში და სხ.

თურქესტანში სარდარიანის გადმოცემით ბევრი ქართველი ყოფილა დასახლებული, რომელნიც უმეტესად მისდევენ ვაჭრობა-მრეწველობას. მათზე ქართული სიმღერების მოსმენამ მოახდინა დიდი გავლენა და გამოიწვია უსაზღვრო სიხარული. კონცერტს ესწრებოდენ თითქმის მთელი ოჯახის შემადგენლობით.

კონცერტებზე უმთავრესად შესრულებულ იქნა ქართული კომპოზიტორების ზაქ. ფალიაშვილის დ. არაყიშვილის სულხანიშვილის, ბალანჩივაძის და სხ. ნაწარმოებნი. სომეხ კომპოზიტორებიდან: მირზოიანის, მელიქიანის, ბარხუდარიანის და კაზახიანის. აგრეთვე შესრულებული იქნა ადერბეიჯანული ხალხური სიმღერები, გადაკეთებული და დამუშავებული თვით სარდარიანის მიერ.

ყველა გუნდებში მონაწილეობა მიიღეს 900 კაცმა და ქალმა. კონცერტებს დაესწრენ 30.000 კაცზე მეტი მაყურებელი.

სარდარიანმა კონცერტების გარდა წაიკითხა რამდენიმე ლექცია-მოხსენებები ამიერ-კავკასიის შემადგენელ ერების მუსიკის შესახებ.

თვით სარდარიანმა ადგილობრივ მოაწყო მუსიკალური კომისიები, რომლებმაც ითავეს ადგილობრივ ქართველებსა და სომხებს შორის სახალხო მომღერალთა გუნდების და საღამო-კონცერტების მოწყობა.

თურქესტანის პრესა აღფრთოვანებით შეხვდა აღნიშნულ კონცერტების მნიშვნელობას და მადლობით იხსენიებდა საქართველოს განათ. კომისარიატს რომლის დავალებით სარდარიანმა იმოგზაურა თურქესტანში.

კონცერტები შესდგებოდა უმთავრესად ხალხურ სიმღერებიდან, რომლითაც დაინტერესებული იყვნენ არა მარტო ქართველი და სომეხი მობინადრენი, არამედ სხვა ტომის შვილებიც რომლებმაც დიდი სურვილი გამოიჩინეს ამიერ-კავკასიის ხალხური სიმღერების მიმართ.

Z.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში.

— **საბოსტნე მიწის გადაცემა.** ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლას, პრეზიდიუმის დადგენილებით გადაეცა იჯარით (ერთი წლის ვადით) ნავთლუღში მდებარე მიწა საბოსტნეთ.

ა.—კ. კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში.

— **ტყავეულობის შემოტანა.** ა.—კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ნება დართო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კოოპ. გამგეობას შემოიტანოს საზღვარ-გარეთიდან ტყავეულობა და დამზადებული ფეხსაცმელები—რომელიც განაწილდება კოოპ. წევრებს შეღავათიან ფასებში.

დამზღვევ კასაში.

— **მუშა-მოსამსახურების გასინჯვა.** დამზღვევი კასის გამგეობამ დაადგინა გაისინჯოს მუშა-მოსამსახურეები და ისინი რომლებიც იგონებენ ავადმყოფობას და არღვევენ კასის სავალდებულო დადგენილებებს გამორიცხულნი იქნენ კასიდან, აგრეთვე ასეთი პირების ვინაობა გადაეცემა პროფ. კავშირებს და გამოქვეყნდება გაზეთებში.

განათლების კომისარიატში.

— **გამოცდები.** სიმწიფის მოწმობის მიმღებთა საყურადღებოთ, განათლების კომისარიატი აცხადებს, რომ ვისაც სურს სიმწიფის მოწმობა, უფლება ეძლევათ ჩააბარონ გამოცდები ტეხნიკუმის მთელი კურსის (ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე). სათანადო მოწმობები და განცხადებები უნდა წარუდგინონ 2 ივნისამდე გამოცდების კომისიის თავმჯდომარე ამხ. ფირცხალაიშვილს (ბელგიის ქ. № 4) ამ კომისიის გარეშე, არავისათვის ტფილისის ტეხნიკუმში გამოცდები არ იქნება.

— **ახალი სურათი.** განათლების კომისარიატთან არსებული კინო-სექცია ამზადებს რევოლიუც. ახალ სურათს „წითელი ეშმაკები". სურათი დამზადებული იქნება ერთ კვირაში.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **აფთიაქში პრაქტიკანტების მიღების აკრძალვა.** ჯანმრთელობის სამაზრო განყოფილებებს დაეგზავნათ შემდეგი ცირკულიარი: შეწყვეტილ იქნას აფთიაქში მოწაფეების საპრაქტიკოდ მიღება. პირველ რიგში მიღებული უნდა იქნენ ის აფთიაქის მოწაფენი, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო სრული სტაჟი არ მიუღიათ.

— **საზღვარ-გარეთულ უნივერსიტეტების კურს დამთავრებულ ექიმების შესახებ.** საზღვარ-გარეთ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ექიმებს პროფმუშაობის უფლების მისაღებად მართებთ წარმოადგინონ თავისი დიპლომები ჯანსახკომში განსახილველად, რის შემდეგ მათ ეძლევათ პრაქტიკის უფლება. საბუთების არქონობის შემთხვევაში, ექიმებს ეძლევათ ვადა 3-დან 6 თვემდე მათ წარმოსადგენად.

გამომცემლობა

— **ჟურნალი „ა.-კ. მშრომელი ქალი".** გამოვიდა ამიერ-კავკასიის ქალთა განყოფილების რედაქტორობით ჟურნალი № 3 „ამიერ-კავკასიის მშრომელი ქალი".

სხვა და სხვა.

— **5 პროც. გასართობების შემოსავლიდან წითელი ჯვრის საზოგადოებას.** ს. ს, ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით რესპუბლიკის ტერიტორიაზედ ყველა თეატრის, კინოსი და სხვა გასართობნი იხდიან 5 პროც. გადასახადს საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ. წითელ ჯვარში კი ყოველ დღე შემოდის თხოვნები გადასახადისაგან განთავისუფლებისათვის. წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმი ერთხელ და სამუდამოთ აცხადებს, რომ დაწესებული გადასახადისაგან არავინ განთავისუფლებული არ იქნება.

— **წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში.** წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში 20—27 მაისამდე ტარდება კავკასიის ცალკე არმიის შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომისიის მიერ ინვალიდთა დამხმარე კვირეული. კომისიის განკარგულებაშია გადასული ამ ხნის განმავლობაში მთელი კლუბი და ამას გამო პოლიტგანმანათლებელი მუშაობა და წარმოდგენების მართვა დროებით შეჩერებულია. ამ კომპანიის შემდეგ საკლუბო მუშაობა გადატანილ იქნება საზაფხულო შენობაში და დაიწყებს მოქმედებას ჩვეულებრივათ.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი

ალ. ტუგანოვის 35 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

თავის არტისტულ დღესასწაულისათვის პატივცემულმა სცენის მოღვაწემ აირჩია სუმბათაშვილ-იუჟინის კომედია „ჯენტლმენი".—კომედია აღებულია მოსკოვის ახლო წარსულიდან—მისი შინაარსი ცხოვრებისაგან არის ამოგლეჯილი. მოსკოვი ხომ მეორე სამშობლოა სუმბათაშვილი-იუჟინის, რომელიც მშვენივრათ იცნობს ძველი მოსკოვის ვაჭართა წრეს და მის ზნე ჩვეულებას. კომედიის ცოცხალ, ლიტერატურულ და მხატვრულ ენის, მოქმედების განვითარების ინტერესისა და სცენიურ განცდების გამო, კომედია ეხლაც საინტერესო მოსასმენია, მიუხედავათ იმისა, რომ რევოლიუციამ ძირიან-ფესვიანათ გადააბრუნა იმ წრის მსოფლმხედველობა, რომლიდანაც ამოღებულია კომედია და ღირებულებათა სრული გადაფასება გამოიწვია. კომედიის მთავარი მომქმედი პირი ლარიონ რიდლოვი—ნამდვილი მოსკოველი ვაჭარია თავისი მხეცური ბუნებრივი ჭკუის მოწყობილებით, მაგრამ იმის გამო, რომ ის საზღვარ-გარეთ ნამყოფია და იქაურ, განსაკუთრებით ინგლისურ ცივილიზაციასთან ზერელეთ გაცნობილი, მას აღარ აკმაყოფილებს მოსკოვის ვაჭრული წრის ზნე-ჩვეულება და შეხედულებები. ის—„ჯენტლმენია" და ცდილობს გამოიჩინოს ყველგან ეს თავის თვისება, სადაც კი შეუძლია, მაგრამ არსებითად ის მაინც მოსკოველ ვაჭრათ რჩება, ყველა მისი დამახასიათებელ თვისებებით. რიდლოვი ჭკვიანი არ არის, ის თვით განვითარებულია, მისი იდეალი ფულებია, მაგრამ მას სურს მაინც „ევროპიელათ დარჩეს თავიდან ფეხებამდე". მიუხედავათ ამისა მოსკოველი ჩარჩის ფიზიონომია მასში მაინც ჩნდება. რიდლოვის დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ ის თავის თავზე დიდი წარმოდგენისაა. მისი აზრით ის ყველაზე უფრო ჭკვიანი, ნიჭიერი და განვითარებულია.

საერთოდ მიღებულია, რომ ნიჭიერ იუბილიარებს მხოლოდ სასიამოვნო ფრაზები უთხრან. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში მე გამონაკლისი უნდა დაუშვა. მოქ. ტუგანოვს სწორათ ვერ გაუგია „ჯენტლმენის" როლი. იუბილიარის განსახიერებაში სცენაზე ახალი ფორმაციის გაევროპიელებული მოსკოველი ვაჭარი კი არა, არამედ ..ფონვიზინის „ნედოროსლი" იყო.

რიდლოვს სავსებით არა, მაგრამ ზერელეთ მაინც ჰქონდა მიღებული ევროპიული განათლება, მოქ. ტუგანოვის გადმოცემაში კი ეს არ სჩანდა, არც გრიმი იყო შესაფერი და არც როლის გაგება თავიდან ბოლომდი. ძალიან სუსტი იყო მოქ. კრუჩინინი (გრაფი ოსტერგაუზენი). ოსტერგაუზენი კრუჩინინის გადმოცემაში რაღაც სულელი გამოვიდა, ნამდვილათ კი ოსტერგაუზენი სულელი არ არის. კარგი იყო ლიუბოვ რიდლოვისა (ვაჭრის ასული) მოქ. ვოლხოვსკაიას გადმოცემაში. მოქ. ბუტკევიჩმა რეალურ ტონებში გადმოგვცა ემმა ლეოპოლდოვნას როლი; რამდენი რეალიზმი და უბრალოება იყო მოქ. ბუტკევიჩის მიერ როლის გადმოცემაში.

მოქ. დავიდოვი კარგი იქნებოდა, რომ მას მეტად არ დაემძიმებია ფერები ახალგაზრდა, ყოველგვარ იმედებ დაკარგულ, კაცის როლის გადმოცემაში,—მაგრამ მოქ. დავიდოვი ლამაზი და მოხდენილი იყო და ეს მისი გამოსვლის დადებით ეხარით უნდა ჩაითვალოს.

რამოდენიმეთ ზანტი და მრთფეროვან მიმიკიანი იყო მოქ. მაქსიმოვა (კეტი). მშვენიერი იყო მოქ. დიმოვი იტალიელ ტენორის როლში. ტიპიური იყო მოქ. ნიროვი ვაჭარ ჩეჩკოვის როლში.

წარმოდგენის გათავებამდე გაიმართა იუბილიარის საპატივცემლო მილოცვები, რომლის ღირსიც არის ტუგანოვი, როგორც კარგი თეატრალური ადმინისტრატორი და რეჟისორი. ტუგანოვის დამახასიათებელი თვისებაა იყოს მკაცრი და მომთხოვნი, მაგრამ ამასთან ერთად ის კარგი ამხანაგიცაა. მილოცვები გახსნა „თეონს" თავმჯდომარემ—შალვა დადიანმა, რომელმაც სალამი და ფულით საჩუქარი გადასცა იუბილიარს ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით, იუბილიარს მიულოცეს აგრეთვე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელმა (რომელმაც აგრეთვე ფულით საჩუქარი გადასცა მას), ოპერისა და ყველა დრამატიულ დასების წარმომადგენლებმა და სხვებმა. მილოცვები დამთავრდა მიღებულ მისალოც დეპეშების წაკითხვით.

ძგ

— **რუსთაველის თეატრი.** რუსთაველის თეატრში გაიმა[illegible] დამსახურებულ მსახიობის ნატ[illegible] ჯავახიშვილის ბენეფისი. წარმოდგ[illegible]ნილი იქნება „ორი ობოლი".

— **წარმოდგენა საქ. წით. ჯვრის სასარგებლოდ.** შაბათს, 26 მაისს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება საქ. წითელი ჯვრის სასარგებლოდ ნინო ნაკაშიძის ორიგინა-

მუშათა ცხოვრება

მუშის სიმღერა.

მე მუშა ვარ, ქარხნის მუშა,
ქარხნის გრდემლთან გამოზრდილი;
დღეს შევხარი მე ჩემს ყოფნას,
წარსულ ტანჯვით გამოცდილი...

დღეს ჩვენს სახეს, შრომის დროშას,
ჰშვენის ფერი სიწითლისა;
მასში ვხედავთ ჩვენს მომავალს,
და ფიცსა ვსდებთ სიმტკიცისა!..

ჩვენ გვსურს ქვეყნად დავამყაროთ
საამაყო ყოფნა სრული;
სადაც შვებით ინეტარებს
შრომის შვილი, დაჩაგრული...

მუშა სიო სიდისთაველი.

რკინის გზის საავადმყოფოში.

რკინის გზის საავადმყოფოს კბილის წამლობის განყოფილებას ამ უკანასკნელ დროს ერთი ახირებული წესი შემოუღიათ: აქაური ექიმები ავადმყოფს მაშინ კი არ დაუწყებენ წამლობას, როდესაც იგი მიმართავს მათ, არამედ მაშინ, როდესაც ამას თვით ექიმები მოისურვებენ. ავადმყოფი თავდაპირველად უნდა ჩაეწეროს რიგში და ამის შემდეგ მან უნდა მოიცადოს ორ-სამ კვირის განმავლობაში. ეს გარემოება კი იწვევს ტკივილების უფრო გართულებას და ბოლოს გადადის სიმსივნეზე. ამის შემდეგაც საავადმყოფოში დანიშნულ დროზე მოსულ ავადმყოფს ჩვენი ექიმები უუბნებიან: „ჯერ სიმსივნემ უნდა გაიაროს და შემდეგ შეიძლება წამლობა“-ო. იმის მაგივრად, რომ ავადმყოფს ჩქარა მოეხმარონ და ადვილად მოსპონ ტკივილები, ექიმები ართულებენ ავადმყოფობასაც და მის წამლობის საქმესაც. საჭიროა, ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

მუშა გ ბ—შვილი.

საჭიროა აილაგმოს

(ალმასკომის საყურადღებოდ).

ამას წინათ გაზეთებში იყო გამოცხადებული კოჯორში აგარაკის აღების წესები. სხვათა შორის იქ ნათქვამი იყო, რომ მსურველთ შეუძლიათ პირადათ (ადგილობრივად) დაათვალიერონ აგარაკები, მუშა-მოსამსახურეებს, რასაკვირველია, მარტო კვირა დღეს აქვთ თავისუფალი დრო, ამიტომ 20 მაისს მრავალი მოსამსახურე მოვგროვდით იქ. მაგრამ საქმის მმართველ, მოქ. პატარაიამ პირდაპირ გაგვაწამა თავისი კანცელიარულ ვოლოკიტითა და ჩინოვნიკური თავმოყვარეობით. ხან გვაყვედრიდა იმას, რომ ეს დღე კვირა იყო, ხან იმას, რომ ის ვალდებული არ არის იმუშაოს და სხვა· მაგრამ, როდესაც მოვსთხოვეთ მას ქაღალდი, რომ ის მართლადაც არ არის ვალდებული იმუშაოს, მაშინ ცოტა მოგონიერდა და გვთხოვა დაგვეცადა. ჩვენც დავიცადეთ და ამგვარად ტფილისიდან ჩამოსულთ, დაღლილ დაქანცულთ დაუსრულებლად გვალოდინებდა. ერთი სიტყვით მან გვიჩვენა უხეშათ, როგორც ეს პატარა კაცუნებს შეშვენის, ძველი ჩინოვნიკის „დიდი ძალა და "გავლენა“ და ჩვენ ამის გამო ვერაფერს მივაღწიეთ.

კარგი იქნება ალმასკომი ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს და თუ მოქ. პატარაია მართლა არაა ვალდებული კვირა დღეს იმუშაოს, მაშინ იქ კვირაობით სამუშაოდ სხვა ვინმეს დააყენებდეს, რათა იქ ფეხით ჩასული მუშა მოსამსახურეები ჩინოვნიკური კაპრიზებით არ გაწამდენ და საჭირო პასუხიც დროზე მიიღონ.

მოსამსახურე.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

ბინის ტარიფიკაცია:

კითხვა: რა რაოდენობით იხდიან ბინის ქირას მაისის თვეში პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე გადამხდელთა კატეგორიაში ჩარიცხული მუშა-მოსამსახურენი?

პასუხი: აღნიშნულ პირველ ოთხ კატეგორიაში ჩარიცხული მუშა-მოსამსახურენი ბინის ქირას იხდიან თანახმად ქალ. საბჭოს დადგენილებისა № 11. 8 მაისის თარიღით 1923 წ.—საქონლის მანეთით, ე. ი. ამიერ-კავკასიის ბონებით, თანაბრად მაისისთვის დაწესებულ საქონლის მანეთის კურსისა მუშა-მოსამსახურეთა თვიური ძირითადი ჯამაგირის რაოდენობის და ბინის ადგილმდებარეობის მიხედვით—**შემდეგი განაკვეთით.**

პირველი კატეგორია.

ძირითადი თვიური ჯამაგირით—საქონლის 5 მანეთი. რაც ამიერ-კავკასიის ბონებით მაისისთვის საქონლის მანეთის კურსით უდრის—8,225,000 მანეთს. ეს მუშა-მოსამსახურენი საცხოვრებელ ბინის ყოველ კვადრატიულ არშინზე იხდიან ქალ. **ცენტრ. ნაწილებში—საქ. მან. 0,3 კაპეიკს, ამიერ-კავკასიის ბონებით კი—4,935 მანეთს ქალაქის განაპირა რაიონებში**—კვადრატიულ არშინში **იხდიან—საქ. მან.—0,2 კოპ., რაც ამიერ-კავკასიის ბონებით შეადგენს—3,290 მანეთს.**

მეორე კატეგორია:

ძირ. თვიური ჯამაგირით საქონ. მან.—5—10 მდე ამიერ-კავკასიის ბონებით—8,225,000—16,450,000 მანეთამდე.

ამ კატეგორიით გადამხდელები ცენტრში იხდიან კვადრ. არშინზე—საქ. მან. 0,4 კაპ. **ამიერ-კავკასიის ბონებით კი—6,680 მან. ქალ. განაპირა რაიონებში—0,20 კაპ., ბონებით კი—3290 მან.**

მესამე კატეგორია:

ძირ. თვიური ჯამაგირით—საქ. მან. 10—15-მდე **ამიერ-კავკ. ბონებით—16,450,000—24,675,000 მანეთამდე.**

ამ კატეგორიაში ჩარიცხული მუშა-მოსამსახურენი საცხ. ბინის ყოველ კვადრატიულ არშინზე **იხდიან—ცენტრში**—საქ. მან. 0,5 კაპ. **ამიერ-კავკასიის ბონებით ეს უდრის 8,225 მანეთს, განაპირა რაიონებში**—ყოველ კვად. არშ. საქ. მან. 0,25 კაპ., **რაც ამიერ-კავკასიის ბონებით შეადგენს—4,113 მანეთს**

მეოთხე კატეგორია:

ძირითადი თვიური ჯამაგირით 15—20 მან. **ამიერ-კავკას. ბონებით—24,675,000—32,900,000 მანეთამდე.**

ამ კატეგორიით გადამხდელები იხდიან კვად.. არშ.—**ცენტრში**—საქ. მან. 0,75 კაპ. **ამიერ-კავკასიის ბონებით კი—12,338 მანეთს. ქალ. განაპირა რაიონებში**—კვად. არშინზე საქ. მან.—0,4 **რაც ამიერ-კავკასიის ბონებით შეადგენს 6,680 მანეთს.**

კითხვა: როდის უნდა შეიტანოს ბინის ქირა მუშა-მოსამსახურემ და რა კურსით?

პასუხი: ბინის ქირა მუშა-მოსამსახ. უნდა შეიტანონ ყოველ თვის დამლევს იმ კურსით, რა კურსიც დაწესებული იქნება იმ თვისათვის საქონლის მანეთზე შრომის კომისარიატის მიერ, **თუ კი მუშა-მოსამსახურენი თავის დროზე და დაუგვიანებლად ღებულობენ შრომის ხელფასს.**

კითხვა: რა შედეგები მოსდევს ბინის ქირის უმიზეზოდ და დაგვიანებით გადაუხდელობას?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევებში არაკეთილსინდისიერი გადამხდელები გაძევებულ იქნებიან თავის ბინებიდან—სასამართლოს წესით.

(იხ. საბჭ. დადგ. № 11. §§ 1, 4, 9 და 18).

მუშათა ქრონიკა

— **მისაბაძი მაგალითი.** ტფილისის პარტ-ორგანიზაციის ადგილკომმა უპარტიო ამხ. მუშებისთვის მოაწყო პოლიტ-წრე, რომელიც საშვალებას მისცემს პარტიულ და პოლიტიკურ ცხოვრების გარეშე მყოფ ამხანაგებს პოლიტიკურ თვითგაცნობიერება მიიღონ.

— **სასადილო უმუშევართათვის.** გაიხსნა სასადილო უმუშევართათვის, სადაც უმუშევრებს და ხელმოკლე მოქალაქეებს უფასოდ ეძლევათ სრულიად დამაკმაყოფილებელი სადილი პურით და დილით ჩაი.

— **ბინების ახალი ტარიფიკაციისათვის.** თანახმად ბინების ახალი ტარიფიკაციისა, ყველა მუშა-მოსამსახურემ უნდა მიიღოს 3 თვეში ერთხელ თავის წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციისაგან განსაკუთრებული მოწმობა შემდეგი ფორმით:

მოწმობა.

მიეცა ესე . . . . . პროფკავშირის წევრს . . . . . . წიგნაკი № . . მას შინა, რომ იგი ღებულობს თვეში ძირითად ჯამაგირად საქონლის . . . . მანეთს . . . . . (დაწესებულების ადმინისტრაციის ხელის მოწერა და ბეჭედი).

— **დამზღვევ კასის დადგენილება.** დამზღვევმა კასამ დაადგინა კასის ის წევრები, რომელნიც ავადმყოფობას იგონებენ (სიმულიანტები) სისხლის სამართალში იქნენ მიცემული, როგორც სოციალური დაზღვევის კანონების დამრღვეველნი.

ლური პიესა „ვინ არის დამნაშავე“? პიესას დადგამს რეჟისორი ალ. წუწუნავა.

— **პლ. კორიშელის ბენეფისი.** ამ დღეებში გაიმართება ნიჭიერ მსახიობის პლ. კორიშელის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება ვ. შალიკაშვილის „უნიადაგონი“.

— **სომეხ ხელოვანთა სასახლეში.** ახლო ხანში სომეხ ხელოვანთა სასახლეში მგოსანი ი. გრიშაშვილი ქართულ ენაზე წაიკითხავს ლექციას „ამული ჰაზირა და საიათნოვა“.

— **სომხური დრამატიული სტუდია.** რეჟისორ გურჯანიანის ხელმძღვანელობით ტფილისში დაარსდა სომხური დრამატიული სტუდია. მეცადინეობა უკვე დაიწყო.

— **ს. რომანიშვილ-დგებუაძის საღამო.** პარასკევს 25 მაისს სახალხო სახლში გაიმართება საღამო მსახიობ ს. რომანიშვილი-დგებუაძისა. წარმოდგენილი იქნება „უდანაშაულოდ დასჯილნი“ ასტროვსკისა.

— **ს. ანკარას წარმოდგენა.** კვირას 27 მაისს სახალხო სახლში გაიმართება წარმოდგენა, მსახიობ ს. ანკარასი. წარმოდგენილი იქნება „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. ლ. ანდრეევისა.

პროვინციაში

გორის მაზრა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—გორის მაზრა შეუდგა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის წინასწარ სამზადისს, შესდგა უკვე ორი სხდომა სასურსათო კომიტეტთან არსებულ სამეულისა, რომელზედაც გამომუშავებულია ზომები გადასახადის საქმის მოსაგვარებლად. უკვე დაიგზავნა ოცდა ცხრა ინსტრუქტორ-გადამწერნი ყველა თემებში სასოფლო სიების შესადგენად. მათ მიიღეს სათანადო ინსტრუქციები როგორც სიების შედგენის შესახებ, აგრეთვე სათანადო პროპაგანდის შესახებ ფართო გლეხთა მასებში.

საბავშვო დღესასწაული—20 მაისს ქ. გორში ჩატარებულ იქნა საბავშვო დღესასწაული. დღესასწაულმა მოიზიდა აურებელი მოწაფენი და ბავშვები. მოწყობილი იქნა საზეიმო პროცესია, რომელმაც ორკესტრის დაკვრით გაიარა ქალაქის უმთავრეს ქუჩებში. საზაფხულო ბაღში გამართული იყნა უფასოდ სხვა და სხვა სანახაობები, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა მხოლოდ ბავშვებმა. მათ მიერ იქნა წაკითხული მრავალი ორიგინალური და სხვა ლექსები რევოლიუციონურ შინაარსიისა. დამსწრე ნორჩი საზოგადოება დიდი აღტაცებით ეგებებოდა ყოველივე ასეთ გამოსვლებს და მეტად ნასიამოვნები დარჩა. იქნა აგრეთვე წარმოთქმული სიტყვები. დღესასწაულში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს კამოს სახელობის საბავშო სახლის ბავშვებმა.

პოლიტ-განათლების განყოფილების მუშაობა გორში. პოლიტ-განათლების განყოფილება შეუდგა საზაფხულოდ კულტურულ მუშაობის წარმოებას გორში. მოახდინა კაპიტალური შეკეთება საზაფხულო თეატრის და კინემატოგრაფის შენობებისა. მოწყობილია ქართული და რუსული დრამატიული დასი, რომელიც უკვე შეუდგა საზაფხულო რეპერტუარის მზადებას. პოლიტ-განათლება ამ ჟამად თავის კინემატოგრაფში აჩვენებს სურათს „სურამის ციხე“-ს, რომელიც დიდ-ძალ საზოგადოებას იზიდავს.

ზემო-გომი.

1923 წ. მაისის 18 შესდგა გომის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 200 კაცი. მოხსენებას დღევანდელ მომენტზე აკეთებს ამხ. ი. რუხაძე, რომელიც ეხება ევროპიის კაპიტალისტების გაუმაძღრობას, რომლებსაც ვერ მოუნელებიათ ჩვენი გამარჯვება, აგრეთვე აღნიშნავს ამხ. ვოროვსკის ვერაგულად მოკვლას, მშრომელი მასსის სისხლის მწოველ ფაშისტების მიერ. შემდეგ ილაპარაკა ამხ. ლ. ზაბუცკიმ, რომელმაც დაახასიათა ამხ. ვოროვსკის მოკვლა და მისი მიზეზები. ხალხში დიდ ზიზღს იწვევდა ინგლისის მიერ წამოყენებული მემორანდუმი და ამხ. ვოროვსკის მოკვლა. დასასრულ, კრებამ მიიღო რეზოლიუცია; რომელშიც გამოსთქვამს თავის გულისწყრომას და აღშფოთებას ინგლისის ულტიმატუმისა და ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო, ამასთან აღნიშნავს, რომ მშრომელებმა მზად არიან დაიცვან რევოლიუციის მონაპოვარნი და საბჭოთა რესპუბლიკები მოსალოდნელ თავდასხმისაგან.

ლ. ნოზაძე.

ქ. სამტრედია.

პარასკევს, 18 მაისს სამტრედიაში გაიმართა გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია. ყველა მუშა-მოსამსახურენი, მუშა-ახალგაზრდობა, გლეხები და სხვა მოქალაქენი გამო[illegible] წითელი დროშებით და საპრო[illegible] პლაკატებით ინგლისის თავ[illegible]ნოტისა და ამხ. ვოროვსკის [illegible]ის გამო.

[illegible]ესია დაიძრა მუშათა კლუბის [illegible]იდან, შემოიარა ქალაქი და შე[illegible]რდა პარტკომთან, სადაც პარტკომის მდივანმა ამხ. სტურუამ მიტინგი გახსნილად გამოაცხადა. აქ ორატორებმა წარმოსთქვეს სიტყვები, რომლებმაც დაახასიათეს ის ვერაგული პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებენ ანტანტა და განსაკუთრებით ინგლისი თავისუფალ მშრომელების წინააღმდეგ.

„ძირს იმპერიალიზმი, გაუმარჯოს რუსეთის დიდს რევოლიუციას“, გაისმოდა ხალხში, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. ამის შემდეგ დემონსტრანტები დაიძრნენ ალმასკომისაკენ, აქ სიტყვები წარმოსთქვეს მრავალმა ორატორებმა, ძველ მენშევიკ-მუშებიდან შენგელიამ, რომელმაც დაახასიათა განსაკუთრებით მე-2-რე და ორნახევარი ინტერნაციონალების მუშაობა საზღვარ-გარეთ და სთქვა, რომ ისინი არავითარ აქტივობას არ იჩენენ რუსეთის რევოლიუციის დასაცავად, რითაც დიდს სამსახურს უწევენ ბურჟუაზიას. ილაპარაკეს სხვებმაც. ბოლოს მიტინგმა გამოიტანა სათანადო საპროტესტო რეზოლიუცია.

სან-კანი.

წერილი რედაქციის მიმართ

1921 წლამდის მე ვირიცხებოდი საქართვ. სოც.-დემ. (მენშევიკთა) პარტიაში, ხოლო დღიდან საბჭოთა რეჟიმის დამყარებისა მე არ ვიმყოფები ზემოხსენებულ პარტიაში და ვსთვლი ჩემს თავს პარტიიდან გამორიცხულად.

კირილე არველაძე.

19 მაისი, 1923 წელი.
ქ. გორი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა. 1923 წ. მაისის 21-ს.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის მესაქონლე მოსახლეობის მიერ საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სარგებლობისათვის საიჯარო სასყიდელის ერთიანი განაკვეთის დაწესების შესახებ.

რათა ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სარგებლობისათვის დამყარებულ იქნეს თანაბარი და ნორმეული საიჯარო სასყიდელი, აგრეთვე მესაქონლეობის განვითარების მიზნით, ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ყველგან ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე,—მესაქონლეობის მიმდევარ გლეხობის მიერ საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სარგებლობისათვის ერთიანი სადესიატინო-საკატეგორიო საიჯარო სასყიდელი, რომლის რაოდენობაც ყოველი წლისათვის ცალკე განსაზღვრული იქნება ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

2. 1923 წლისათვის საიჯარო სასყიდელი დაწესებულ იქნეს 1914 წლის განაკვეთის 50 პროცენტის რაოდენობისა.

3. საიჯარო სასყიდელი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს მტკიცე ვალიუტად და გადახდილი საძოვრების მოსარგებლეთა მიერ ადგილობრივ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით სასყიდლის გადახდის დღის საკოტერო (კოტიროვალნი) კურსის მიხედვით.

4. საზაფხულო და საზამთრო საძოვრების მოსარგებლენი განთავისუფლებულ არიან საკარვო (კიბიტოჩნი) გადასახადისაგან.

შენიშვნა: ტყის მასალის სარგებლობა შეიძლება საერთო საფუძველზე.

5. საიჯარო უფლების სხვისთვის გადაცემა,—აშკარად თუ მალული ხერხით და თვითნებობითი მოხვნა, გათიბვა და სხვაგვარი დარღვევა საიჯარო ხელშეკრულებისა დევნილ უნდა იქნეს იმ ადგილის კანონების მიხედვით, სადაც ეს დარღვევა მოხდა.

6. საიჯარო სასყიდლის გადახდევინების ვადას აწესებენ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

7. ამა დადგენილების გამოქვეყნებისას ამიერ კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში მყოფ რესპუბლიკებში მომქმედი ყველა დეკრეტი და დადგენილება ამ საგნის გამო—გაუქმებულია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.
ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ბ. თალიბლი.

დეკრეტი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1921—1922 წ. სასურსათო გადასახადის ნარჩენის გადახდევინების მოსპობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოსპობილ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის ივნისის 20-ს თარიღითა და მე-7 №-ით გამოცემული დეკრეტით განსაზღვრული გადახდევინება 1921—1922 წლ. სასურსათო გადასახადის ნარჩენისა.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად ს ქ. საბჭ. ცენტ. აღმასრულ. კომიტ. თავმჯდ. მ. ცხაკაია.
საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდ. მოადგილე ა. გეგეჭკორი.
სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ვ. საბაშვილი.

1923 წ. მაისის 22
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 96.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ სამსახურის გამო მივლინებულთა რეგისტრაციისათვის 47 №-ით გამოცემული დადგენილებისა და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 38 №-ის დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ სამსახურის გამო მივლინებულთა რეგისტრაციისათვის 47 №-ით გამოცემული დადგენილებისა და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 38 №-ის დადგენილების შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღნიშნულ დადგენილებათა მე-6 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 6. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალებათ შემოიღონ სამსახურის გამო მომსვლელ და წამსვლელ პირთა ყოველდღიური აღნუსხვა (რეგისტრაცია), და ამ სარეგისტრაციო აღნუსხვის ამონაწერი წარუდგინონ სათანადო სახალხო კომისარიატს იმ შემთხვევაში, როდესაც უკანასკნელი ამას მოითხოვს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე ა. გეგეჭკორი,
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე ტალახაძე.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.
1923 წ. მაისის „21“
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

პარტიული მუშაობის გამოკვლევა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიონული კომიტეტი იუწყება, რომ პარასკევს 25 მაისს იმ უჯრედებში, რომელშიც უნდა მოხდეს პარტიული მუშაობის გამოკვლევა, ერთიანი პარტიული დღის საკითხების ნაცვლად ადგილი უნდა დაეთმოს მხოლოთ პარტმუშაობის გამოკვლევის საკითხს. გამოკვლევა მოხდება ქვემოთ ჩამოთვლილ უჯრედებში, სადაც ამ მიზნით იგზავნებიან ამხანაგები:

1. ვართაპეტიანი—უჯრედი № 13. 2. აკოფოვი—№ 15. 3. ნაზაროვი—№ 16. 4. გინზბურგი—№17. 5. რასულ-ზადე—№ 18. 6. დივნოგორცევი—№ 19. 7. ჯანელიძე—№ 20 8, ხანოიანი—№ 21: 9. პოლის—№ 24. 10. ვაშაკიძე—№ 25. 11. ორაბელაშვილი მარიამ—№ 26. 12, იტრიევი—№ 27. 13. ფიალკოვსკი—№ 28. 14. სოკოლოვსკი—№ 29. 15. რახმანი—№ 30. 16. შავერდოვი—№ 31, 17. ქორიძე—№ 32. 18. დიმანტი—№ 33 14. გურსკი—№ 34. 20. ესაიანი—№ 36 21. ქავთარაძე ლადო—№ 38. 22. კაპანაძე—№ 39. 23. პენიაკოვი—№ 41. 24, ესსენ მ.—№ 42. 25. ენგელ—№ 43.

წინადადება ეძლევა უჯრედის ყველა მდივნებს აცნობონ უჯრედების ყველა წევრებს და უჯრედებთან მიმაგრებულ ამხანაგებს გამოკვლევის დროს დასწრების აუცილებლობის შესახებ.

უჯრედების ყველა მდივნებს და პარტმუშაობის გამოსაკვლევათ გაგზავნილ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ ხუთშაბათს, 24 მაისს, ნაშუადღევის სრულ 2 საათზე გამოცხადდენ რაიონულ კომიტეტში თათბირზე დასასწრებათ და ინსტრუქციების მისაღებათ.

პასუხისმგებელი მდივანი: ხაცკევიჩი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის სააგიტაციო-საპროპაგანდო მე-4 საუბნო კომიტეტი აუწყებს საუბნო პარტიულ სკოლის ყველა მსმენელებს რომ ხუთშაბათს, 24 მაისს, საღამოს 6 საათზე სკოლაში განახლდება მეცადინეობა. წინადადება ეძლევა ყველა მსმენელთ, მეცადინეობაზე დაუგვიანებლად გამოცხადდენ.

ვინც არ გამოცხადდება, სასტიკ პასუხისგებაში მიეცემა.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე არუსტანოვი.

მარქსისტული წრეების მეცადინეობის ცხრილი 21 მაისიდან 27 მაისამდე.

— 1. კვირას, 27 მაისს, დილის 11 საათ. 1 საათამდი ამერ-კავკ. საგანგებო კომისიის წრე. ხელმძღვანელი ლიბახი.

— 2. კვირას, 27 მაისს 11—1 საათ. სახელმწ. უნივერსიტეტის წრე. ხელმძღვანელი ამხ. დუდუჩავა.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაც.-საპროპაგანდო განყოფილება.

— ხუთშაბათს, 24 მაისს, შუადღის 12 საათზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტ. სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე დანიშნულია

საორგანიზაციო კრება ანტისარწმუნოებრივი წრისა.

მორიგ საკითხად სდგას, სარწმუნოების წინააღმდეგ პროპაგანდის მოწყობა ქალაქში, წარმოებებში მუდმივი წრეების შექმნა, უბნებში კამათის გამართვა სასულიერო წოდების წარმომადგენლებთან და ამ კამათში მიზიდვა ფართე უპარტიო მასსისა.

მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: მ. ოკუჯავა, ნოვიკოვი, ისიდორე თალაქვაძე, ელისაბედაშვილი, მედვედევი, სუროვენკოვი, ოდაროვი, ლოსევი, სპასკი, გალკინი და აგრეთვე საუბნო კომიტეტების წარმომადგენელნი.

საკითხის დიდ მნიშვნელოვნობის გამო დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესსენი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხანაგ ანდრია ბუაჩიძეს, გამოცხადდეს მე-2 საუბნო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, ხუთშაბათს, 24 მაისს, საღამოს 5 საათზე საუბნო კომიტეტის ბინაზე.

პროფესიული.

— ხუთშაბათს, 24 მაისს, საღამოს შვიდის ნახევარზე მოხსენებას გააკეთებს მივლინებაში ნამყოფი და მოსკოვიდან დაბრუნებული ამხანაგი წერეთელი-ვახვახიშვილისა შემდეგს თემაზე: „საბავშვო ბაღები“.

— კვირას, 27 მაისს, საღამოს 8 საათზე საკამერო მუსიკის საღამო.

განცხადებები

ცოლი ოლღა სოფრომის ასული კანდელაკისა, შვილები ვასილ, ბორისი, ალექსანდრა, სოფიო, ნადეჟდა, ბარბალე აუწყებენ მწუხარებით ნათესავთ და ნაცნობთ

ვასილ ივანეს ძე კანდელაკის

გარდაცვალებას. ხუთშაბათს, 24-ს საღამოს 6 საათზე მოხდება გასვენება ქუთაისის მატარებელზე. დაკრძალვა ქ. ქუთაისში შაბათს, 26 მაისს საღამოს 5 საათზე.

699 1—1

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 399—1—1

დღეს, 24 მაისს,
ეგვიპტის ღამეები
პლასტიური ცეკვა.
დასაწყისი სრულ 8 საათზე.

რუსთაველის
თეატრი
კრ. 405—1—1

დღეს, 24 მაისს,
ბენეფისი ნატო ჯავახიშვილისა
ორი ობოლი
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პროსპ. № 26. ტელეფ. № 5—43.

ივნისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	1.250.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	800.000
ერთი ეგზემპლიარი	50.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივნისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 6—1

Центральная Контора Партийно-Советской прессы Грузии.

(бывший Газтрест), просп. Руставели № 26.

доводит до всеобщего сведения, что принимается подписка на все Московские и Петроградские газеты и журналы с доставкой на дом Контора наладила вполне прочную и систематическую связь с Москвой и она ручается за своевременную и аккуратную доставку газет и журналов. Все газеты и журналы в розницу требовать ежедневно у газетчиков г. Тифлиса. 6 1

ამა წლის 28 მაისიდან თბილისის ქალაქის სასაკლაოებზედ

(ნავთლუღში) დაიწყება **დამუშავება და გაცემა ყინულისა.** საჭიროა, რომ ყინულის მიღების მსურველებმა წინდაწინვე მისცენ განცხადება სასაკლაოების დირექტორს. საჭიროა, რომ ყინულის მიღების დაწყებისას შემოტანილ იქნას სამი დღის საჭიროების ყინულის ფასი, შემდეგ კი ფასი უნდა იყოს გადიხდილი ყოველ დღე ყინულის წაღებისას. პირველ რიგში დაკმაყოფილებულ იქნებიან: საავადმყოფოები, მეორე რიგში სახელმწიფო დაწესებულებანი და მესამე რიგში კერძო პირნი.

პირობების გაგება, ყინულის გაცემის შესახებ, შეიძლება მიღებულ იქნას სასაკლაოების კანტორაში. (ტელ. № 17-94 და 8-66). (კრ. 411 1—1)

ს. ს. ს. ჯანმრთელ. სახ. კომისარიატი
მთავარ საკურორტო სამმართველო

ტფილისი, საპიორის ქუჩა № 30, ტელ. [illegible]

საქართველოს სახელმწიფო ყველა კურორტებზე მსურველებს შეუძლიან მიიღონ ქირით ოთახები. სააგარაკო ოთახები დაყოფილია სამ კატეგორიათ: ოთახები **1-ლ კატეგორიის შეფასებულია მთელი სეზონის განმავლობაში თითო კვადრატიული არშინი 80 კაპ. ოქროთი, მე-2 კატეგორიის—60 კაპ. ოქროთი და მე-3—40 კაპ. ოქროთი. პროფკავშირების წევრებს ეძლევათ შეღავათი 50 პრ. დაკლებით.** ყველას ოთახები ეძლევათ უავეჯეულოთ. (წაღვერში, ბორჯომში და მანგლისში თავისუფალი ოთახები არ არის) მსურველებს შემოაქვთ განცხადებები მთავარ საკურორტო სამმართველოს ცნობის ბიუროს განყოფილებაში 100.000 მან. საღერბო მარკის გადახდით სამუშაო დღეებში 12 საათიდან 2 საათამდე დღისა.

განცხადებანი მიიღება 10 ივნისამდე.

(კრ. 397. 3—2).

განცხადება

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრ. სადგურის აგების კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 30 მაისს 1923 წ. დანიშნულია შეჯიბრება მიწის მუშაობის გაცემაზედ სადგურის მთავარ არხში 16 პიკეტიდან 27 პიკეტამდე, დაახლოებით 15.000 კუბ. საჟ.

აღნიშნული სამუშაოს აღების მსურველთ შეუძლიათ შეიტანონ წერილობითი განცხადება მიღებულ ფორმის ბლანკებზე დაწერილი დაბეჭდილი კონვერტში წარწერით: ,,ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 30 მაისის 1923 წ. შეჯიბრებაზე'' განცხადება უნდა იქნეს ჩაშვებული ყუთში არა უგვიანეს 1923 წ. 30 მაისის შუადღისა და ამავე დღეს შესდგება კონვერტების გახსნა.

ფასი უნდა აღინიშნოს ოქროს ფულით. გადახდა ფულისა იწარმოებს ამიერ-კავკასიის ბონებით გადასახდელ კვიტანციის თარიღის კურსით, თანახმად ტფილისის ბირჟის ოფიციალურ კურსისა. განცხადებაზე დართული უნდა იქნეს კვიტანცია „კომზაჰესის“ კასაში 5 პროცენტი ბეს შეტანის შესახებ. საიჯარო ფასიდან ფულის მაგივრად ბედ შეიძლება შემოიტანოს ნოტარიულად დამტკიცებულ გირაოებისა უძრავ ქონებაზე იმავე ღირებულებისა.

იმათ ვინც სამუშაოს არ აიღებს, ბე შეჯიბრების შემდეგ დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ, ბე იმისა ვინც სამუშაოს აიღებს დარჩება „კომზაჰესი“-ს კასაში და თანდათან გადიდდება 10 პროცენტამდი სამუშაოს მთელი ღირებულებისას თვითეულ გადახდიდან 10 პროცენტის დაჭერით—ეს ბე დაუბრუნდება მოიჯარადრეს, მხოლოდ მუშაობის გათავების შემდეგ.

„კომზაჰესი“—უფლებას იტოვებს სამუშაო გადასცეს არა უმცირეს ფასის გამცხადებელისა, ვინაიდან ანგარიშს გაუწევს ფასის გარდა განმცხადებელის სანდობას და წინად გატარებულ მუშაობასაც.

დაწვრილებითი ცნობების და განცხადების ბლანკების გაცნობა და მიღება მსურველთ შეუძლიათ ,,ზაჰეს''-ის ტეხნიკურ განყოფილებაში (თბილისი, ველიამინოვის ქ. № 3) ყოველდღე 10 საათიდან შუადღემდე.

შენიშვნა: ბეს წინასწარ შეტანიდან შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს მხოლოდ მუშური ან გლეხური არტელები შრომის სახალხო კომისარიატში სათანადო რეგისტრაციაში გატარებული, თუ ისინი განცხადებასთან ერთად წარმოადგენენ სათანადო მანდატებს თავის რწმუნებულის სახელზე, ამ შემთხვევაში ბე შეტანილი იქნება თანდათან 10 პროცენტის დაჭერით თვითეულ გადახდიდან.

კრ. 402 3—2 **კომზაჰესი.**

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პროფგანათლების მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი

ი. ფ. პალატნიკოვის

ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
(15—8) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი

თბილისის აღმასკომის დარაბების მოიჯარადრეთა საყურადღებოთ

საფინანსო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ის პირი, რომელიც განიზრახავს დარაბის, საწყობის, სარდაფის და ან სხვა რამე სავაჭრო სამრეწველოს დაკეტვას ვალდებული არის ხუთმეტი დღით ადრე უბრალო განცხადებით ამცნოს საფინანსო განყოფილებას (ოთახი № 14) რის შემდეგ უნდა უცადოს ალმასკომის აგენტს, რომელიც ჩაიბარებს დარაბის გასაღებს და ინვენტარს და გაასწორებს მოიჯარადრესთან ყოველივე ანგარიშს. ყოველივე გატანილ ინვენტარზე პასუხისმგებელია დარაბის მოიჯარადრე.

(კრ. 406—2—2) საფინანსო განყოფილების გამგე ვ. ფიალკოვსკი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველო

საექიმო-სანიტარული განყოფილება.

ამით ეუწყება პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებს და საბჭოთა დაწესებულებებს, რომლებმაც საქართველოს კურორტებზე სახელმწიფო საწოლი ადგილები მიიღეს პროფკავშირთა საბჭოს განაწილების ცხრილით, რომ განცხადებათა მიღება იმ ავადმყოფებისაგან, რომლებიც საჭიროებენ სანატორიუმებში და კურორტებში ექიმობას, გადამრჩევი კომისიის მიერ დაიწყება 25 მაისიდან რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს ამბულატორიის შენობაში (პლეხანოვის ქ. № 54), განცხადებასთან დართული უნდა იყოს შემდეგი საბუთები: მოწმობა რაიონული ექიმისა, საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტის და სათანადო კავშირებისა.

კრ. 404 3—3

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, კორპანოვის ქ. № 20. (601 35 8)

დავკარგე პირადობის მოწმობა სურათთან ერთად № 291, ჩემი მე-2 ცვლილთა ჯგუფის 1 ლი უბნის გზათა რკინის გზის რაზმისა ა. წ. 27 მარტს ჩაითვალოს გაუქმებულათ ლეონიდ კამკამიძე
694 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა სურათთან ერთად მე-2 მცვლელთა ჯგუფის გზათა რკინის გზის რაზმისა № 225 1-ლი უბნის ა. წ. 11 აპრილს ჩაითვალოს გაუქმებულად, ალექსანდრე პირველაშვილი.
695 1—1

დავკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი ალფეზ კუტალაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
698 1—1

დავკარგე პასპორტი № 27485 ივანე ნიკოლოზის ძე ნიკოლაიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 696 1-1

დავკარგე პარტიული ბილეთი საქ. კომ. პარტიისა № 5718 გრიგოლ ნოეს ძე დოლიძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
897 1—1

[illegible]